

პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ ყველაზე ხშირად
გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების
პრიტიკული ანალიზი



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ ყველაზე ხშირად
გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის
მუხლების კრიტიკული ანალიზი



კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე
მკვლევრები: ქეთი ჩუთლაშვილი, თორნიკე გერლიანი
რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი
ყდის დიზაინი: როლანდ რაიკი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ქეთი ჩუთლაშვილი, თორნიკე გერლიანი, „პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ ყველაზე ხშირად გამოყენებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების კრიტიკული ანალიზი“, 2025.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი	4
კვლევის მეთოდოლოგია	4
1.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 226-ე მუხლები	5
1.1. ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კრიტიკა.....	5
1.2. დოქტრინალური და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი.....	11
2.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლი	17
2.1. ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კრიტიკა.....	17
2.2. საერთაშორისო სტანდარტები	20
2.3. კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია	24
3.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლი	25
3.1. ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კრიტიკა.....	25
3.2. პოლიციელზე თავდასხმის (Assault) საკითხის თეორეტიზებისთვის	29
3.3. კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია	32
4.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი	34
4.1. ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა.....	34
4.2. ქონებრივი დანაშაული პროტესტის დროს	35
4.3. კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია	36
დასკვნა.....	37

შესავალი

2024 წლის 28 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე ირაკლი კობახიძემ [განაცხადა](#), რომ პარტია „ქართული ოცნება“ 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში არ დააყენებდა საქართველოს ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხს. ამ განცხადებამ საქართველოს მოქალაქეების პროტესტი გამოიწვია და იმავე დღეს, თბილისშიც, და საქართველოს სხვა ქალაქებშიც, დაიწყო მოქალაქეთა გამოსვლები, რაც ამ დრომდე უწყვეტად გრძელდება.

2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, თბილისში, სამართალდამცავებმა საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე მყოფ არაერთ მოქალაქეზე ფიზიკურად იძალადეს, უკანონოდ გამოიყენეს სპეციალური საშუალებები და უკანონოდ დააკავეს ადმინისტრაციული წესით (400-მდე ადამიანი). შეკრების მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავებების მიღმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა, 2024 წლის 4-5 დეკემბერს, 13 პირი სისხლის სამართლის წესით, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისა და ძალადობრივი ქმედების საჯაროდ მოწოდების ბრალდებით [დააკავეს](#). საპროტესტო აქციების ფარგლებში, კიდევ ერთი პირი აფეთქების მომზადების, ხოლო 9 პირი სხვისი ნივთის დაზიანებისა და პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. ყველა დაკავებულ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

საპროტესტო აქციების გაგრძელების პარალელურად, „თბილისი მოლთან“ გამართული შეკრების დროს, შსს-მ 2025 წლის 4 თებერვალს, 8 პირი სისხლის სამართლის წესით დააკავა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ჯგუფურად ბლოკირების მცდელობის ფაქტზე. ამ შემთხვევაში მათ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდათ.

საქართველოს პროკურატურა, თითოეულ საქმეზე დაკავებულ პირებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 222-ე, 225-ე, 229-ე, 187-ე და 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას ედავება. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გააანალიზოს დასახელებული დანაშაულები, კერძოდ, თუ როგორ განიმარტება თითოეული მათგანი სისხლის სამართლის დოგმატიკაში, სასამართლო პრაქტიკაში და რა ძირითადი სამართლებრივი ხარვეზები გააჩნია სსკ-ის აღნიშნულ ნორმებს.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა აანალიზებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმებს, რომელთა საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროტესტების დროს დაკავებული აქტივისტების საქმეები. დოკუმენტი ეყრდნობა კვლევის როგორც დოქტრინალურ, ისე არადოქტრინალურ მეთოდებს. დოქტრინალური მეთოდი ნორმების ნამდვილი შინაარსის ამოცნობას სამართლებრივი პრინციპებისა და სამართლის ღირებულებითი ლოგიკის სამფუძველზე ცდილობს. ესაა „კვლევა სამართალში და არა - სამართალზე“.¹ ამ ნაწილში,

¹ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). 2022. *აკადემიური წერა*, თბილისი, გვ. 11. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/4ilB7ve>, წვდომის თარიღი: 14.04.2025.

დოკუმენტი მოიცავს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის შეფასებას.

კვლევის არადოქტრინალური მეთოდი სამართალს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების პრიზმიდან შეისწავლის. მისი მიზანია, განმარტოს სამართლებრივი ნორმები და გადაწყვეტილებები, როგორც სოციალური მოვლენები. ამ მხრივ, წინამდებარე დოკუმენტი განსახილველ ნორმებს უფრო ფართო სოციალური და პოლიტიკური პროცესების ნაწილად განიხილავს, სადაც სამართლის აპროპრიაცია პოლიტიკური წესრიგის მოქმედების ლოგიკას ეფუძნება.

მთლიანობაში, ავტორებმა გამოიყენეს შემდეგი წყაროები:

- ❖ ეროვნული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები;
- ❖ საერთაშორისო აქტები, შეთანხმებები და რეზოლუციები;
- ❖ საქართველოს საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები;
- ❖ საერთაშორისო სასამართლოებისა და ორგანოების განმარტებები;
- ❖ სამეცნიერო წყაროები (წიგნები, რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალები და პუბლიკაციები);
- ❖ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები;
- ❖ ელექტრონული რესურსები.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი მეთოდიც. კერძოდ, წინამდებარე დოკუმენტი აანალიზებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებსაც. გერმანიის კომპარატივისტული მაგალითი შერჩეულია ორი მთავარი საფუძვლით: პირველი, ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ნორმატიული ბაზა მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა გერმანული სამართლის რეცეფციას. საქართველო, როგორც კონტინენტური სამართლის ოჯახის წევრი, გერმანული სამართლებრივი სისტემისა და დოქტრინის ძლიერ გავლენას განიცდის. ამდენად, გერმანიის შედარებითი მაგალითი ამ კონტექსტში ყველაზე რელევანტურია; მეორე, გერმანია ევროპულ სივრცეში კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვის წამყვან სტანდარტებს ადგენს. ევროკავშირთან დაახლოების მიზნებისა და ევროპული დემოკრატიული გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, გერმანიის მაგალითი განსაკუთრებით ღირებულია.

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 226-ე მუხლები

1.1. ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კრიტიკა

სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისთვის ან მასში მონაწილეობისთვის. ეს მუხლი 2011 წლის 1 ივლისამდე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში „მასობრივ არეულობად“ იწოდებოდა. შესაბამისად, მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელი იყო, რომ მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული ქმედებები რამდენიმე ასეულ ადამიანს, მასას

განხორციელებინა. 2011 წლის 1 ივლისს მიღებული ცვლილებებით შეიცვალა მუხლის დისპოზიცია და დასჯადად იქნა მიჩნეული ქმედების შემადგენლობის განხორციელება ჯგუფის მიერ, რაც გულისხმობს, რომ მისი ჩადენა ორ ან მეტ პირსაც შეუძლია. ეს ცვლილება გაკრიტიკებულია სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში და მიჩნეულია, რომ მუხლის მოქმედების ფარგლები უსაფუძვლოდ გაფართოვდა და მისი შინაარსი ამ დანაშაულისგან საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვის მიზანს აღარ შეესაბამება.² სისხლის სამართლის დოგმატიკაში განვითარებული მოსაზრების მიხედვით, მასობრივი არეულობის, როგორც დანაშაულისგან სისხლის სამართლებრივი დაცვის ობიექტი იყო საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი და გაუგებარია, რა სახის საფრთხე შეიძლება შეექმნას საზოგადოებრივ უშიშროებას ორი ან სამი პირის ძალადობით.³

მოქმედი რედაქციით, 225-ე მუხლის პირველი ნაწილით დასჯადია ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან უნდა ახლდეს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობის გაწევა, ანდა მათზე თავდასხმა, ხოლო მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის გამო. შესაბამისად, იმისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს კონკრეტული პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ობიექტური თვალსაზრისით, ადგილი უნდა ჰქონდეს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას ან ხელმძღვანელობას, რასაც თან უნდა ახლდეს სხვადასხვა ძალადობრივი ქმედება ან იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობის გაწევა ანდა მათზე თავდასხმა. მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, პირი უნდა მონაწილეობდეს ზემოთ დასახელებულ ქმედებებში.

მუხლის მიზნებისთვის ორგანიზატორად მიიჩნევა პირი, რომელიც არის დანაშაულის ჩადენის ინიციატორი, შესაბამის განკარგულებებს, მითითებებს აძლევს დანაშაულში მონაწილე სხვა პირებს და აკონტროლებს დანაშაულის ჩადენის პროცესს,⁴ ხოლო რაც შეეხება ჯგუფს, მუხლების მიზნებისთვის ჯგუფად განიხილება ორი ან მეტი პირი, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით ან წინასწარ შეუთანხმებლად სჩადიან დანაშაულს.⁵ მუხლში უშუალოდ არ არის მითითებული, თუ რა იგულისხმება ძალადობრივ ქმედებებში, რბევაში ან იარაღის გამოყენებაში, თუმცა, სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით, ძალადობრივ ქმედებებში მოიაზრება ცემა, შენობაში იძულებით შეღწევა, სხვა პირებისთვის ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რბევა გულისხმობს შენობებში ან ქუჩებში სხვადასხვა ნივთის მიმოყრას, დაზიანებას, ცეცხლის წაკიდებას და ა.შ.⁶ რაც შეეხება იარაღის გამოყენებას, 225-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით, იარაღად მიიჩნევა, არა მხოლოდ ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღი, არამედ საბრძოლო მასალა, ფეთქებადი ან ადვილად აღებადი

² ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 704.

³ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 704.

⁴ 2019 წლის 31 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, საქმე №827აპ-18 ს-ი-მ-ლ-827აპ-18. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი.

⁶ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 705.

ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა, ცრემლმდენი, რადიოაქტიური, ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების ან მომწამვლელი ნივთიერება, ცივი იარაღი ანდა ნებისმიერი მოწყობილობა ან საგანი, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ანდა გასანადგურებლად.

შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს, ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობას, რბევას ან იარაღის გამოყენებას და წინააღმდეგობას/თავდასხმას ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი.

სსკ-ის 225-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ობიექტური მხარის მიღმა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მნიშვნელოვანია დადგინდეს დანაშაულის სუბიექტური მხარე, კერძოდ, პირი (ორგანიზატორი ან ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირი) მოქმედებდა თუ არა განზრახ. ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში აუცილებელია, რომ როგორც ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირი, ისე ორგანიზატორი მოქმედებდნენ პირდაპირი განზრახვით, რაც ნიშნავს, რომ, მათ, ერთი მხრივ, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, რომ კონკრეტული ქმედება ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კანონს, ითვალისწინებდნენ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას/ან გარდაუვლად მიიჩნევდნენ მის დადგომას და სურდეთ ეს შედეგი.⁷ შესაბამისად, ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორის და მონაწილე პირის განზრახვა მოიცავს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, მასში მონაწილეობის და სხვადასხვა ძალადობრივი ქმედების განხორციელებას.

საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების დასჯადობისთვის სწორედ სუბიექტური ელემენტის, ანუ განზრახვის არსებობა საკმაოდ მაღალი სტანდარტით ფასდება და მიიჩნევა, რომ თუ პირის განზრახვა და მიზანი არ მოიცავდა ჯგუფური ორგანიზების თანმხლებ ძალადობრივ ქმედებებს, მას არ შეიძლება მითითებული მუხლით დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლომ, 2018 წლის 10 იანვარს დადგენილი განაჩენით, ბრალდებულები გაამართლა სსკ-ის 225-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში და მათი ქმედება გადააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ ბრალდებულების განზრახვა არ მოიცავდა 225-ე მუხლით გათვალისწინებული

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად: 1. განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით. 2. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. 3. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას.

შემადგენლობის განხორციელებას, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით სახეზე იყო დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა.⁸

სსკ-ის 226-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა

სსკ-ის 225-ე მუხლის მსგავსად, ჯგუფური მოქმედების ორგანიზების ან მასში აქტიური მონაწილეობისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სსკ-ის 226-ე მუხლიც. სსკ-ის 225-ე მუხლის მსგავსად, 226-ე მუხლიც ადგენს პასუხისმგებლობას ორგანიზატორისთვის, ანუ პირისთვის, რომელმაც ჯგუფურ მოქმედებას გაუკეთა ორგანიზება და პასუხისმგებლობას ჯგუფურ მოქმედებებში აქტიური მონაწილეობისთვის. თუმცა, 225-ე მუხლისგან განსხვავებით, 226-ე მუხლის დანაშაულის შემადგენლობა პირველ რიგში გულისხმობს იმგვარი ჯგუფური მოქმედებების ორგანიზებას, რომლებიც თავისი შინაარსით 225-ე მუხლთან შედარებით ნაკლები სოციალური საშიშროებით ხასიათდება. ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ ორგანიზატორის მიერ ჯგუფური მოქმედებების ორგანიზების განზრახვა და მიზანი იყოს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა ან ხელისუფლების წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი აშკარა დაუმორჩილებლობა, ან ქმედება, რომელიც იწვევს ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხებას. შესაბამისად, ძალადობა, რბევა ან ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია იარაღის გამოყენებასთან, ვერ გამოიწვევს ამ მუხლით დასჯადობას. საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა თავისი არსით დაკავშირებულია იმგვარ ქმედებებთან, რომლებიც იწვევს საზოგადოებრივი ნორმალური, ჩვეული რიტმის შეფერხებას, ხოლო რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ეს, შესაძლოა, განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. თუმცა სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლის მოთხოვნისადმი პასიური დაუმორჩილებლობის გამო ქმედების კრიმინალიზება არ არის სამართლიანი და „პოლიტიკური რეპრესიისათვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს“.⁹

როგორც ზემოთ აღინიშნა, სსკ-ის 226-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისთვის, არამედ მასში მონაწილეობისთვის. თუმცა, ნორმის დისპოზიციის მიხედვით, დასჯადია არა უბრალოდ მონაწილეობა (პასიურად, ადგილზე ყოფნა), არამედ აქტიური მონაწილეობა. მუხლი არც ამ შემთხვევაში იძლევა განმარტებას, თუ რა იგულისხმება აქტიურ მონაწილეობაში, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქტიური მონაწილეობა გულისხმობს იმგვარ ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მოთხოვნის დაუმორჩილებლობასთან და მათში უშუალო მონაწილეობასთან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია არსებობდეს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ნიშნები, თუ არ დასტურდება პირის აქტიური მონაწილეობა ამ ქმედებებში და მისი მონაწილეობა რიგითი მაყურებლის ფუნქციით შემოიფარგლება, მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

⁸ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 იანვარი, საქმე №010100117001965236.

⁹ კოლექტივი.

დაკისრება უკანონო და გაუმართლებელია.¹⁰ რაც შეეხება ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, ამ შემთხვევაშიც, სსკ-ის 225-ე მუხლის მსგავსად, აუცილებელია, რომ როგორც ორგანიზატორი, ისე ქმედებაში მონაწილე მოქმედებდნენ განზრახვით, ანუ გაცნობიერებული ჰქონდეთ საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდნენ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურდეთ ეს შედეგი.

სსკ-ის 226-ე მუხლით კრიმინალიზებული ქმედება წააგავს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს, რაც გულისხმობს წვრილმან ხულიგნობას - საჯარო სივრცეში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და მოქალაქეთა სიმშვიდეს, და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. ზემოხსენებული ადმინისტრაციული გადაცდომებისგან განსხვავებით, სსკ-ის 226-ე მუხლში მითითებულია, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დგინდება საზოგადოებრივი წესრიგის „უხეშად დარღვევის“ ან სახელმწიფოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი „აშკარა დაუმორჩილებლობის“ შედეგად. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისეთი შეფასებითი ცნებების შემოტანით, როგორიცაა „უხეშად“ და „აშკარად“, კანონმდებელმა ქმედების კრიმინალიზება დაუკავშირა ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას. ზოგადად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედების ერთმანეთისგან გამიჯვნის სხვადასხვა თეორია არსებობს,¹¹ თუმცა ძირითადი კრიტერიუმები დაკავშირებულია შეფასებასთან, თუ რამდენად არის ქმედება საშიში სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, თუ რა ხარისხით ჰქონდა ადგილი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას ან სახელმწიფოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას.

მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ პირთა საქმეები

2025 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით ქვეყანაში გამართული საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავებმა არაერთი პირი დააკავეს. დაკავებულ პირებს შორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის ბრალდებით დააკავა ირაკლი მიმინოშვილი, ვეფხია კასრამე, ვალერი კაძელაშვილი, ინსაფ ალიევი, თორნიკე გოშაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, გიორგი გორგაძე, ზვიად ცეცხლაძე, ანდრო ჭიჭინაძე, ჯანო არჩაია, რუსლან სივაკოვი, ლუკა ჯაბუა, გურამ მირცხულავა და ონისე ცხადაძე.¹² დაკავებული პირების მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა გამოიყენა. მედიაში გავრცელებული ინფორმაცია და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულ პირთა სისხლის სამართლის

¹⁰ კოლექტივი.

¹¹ Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeiten nrecht. 5. Auflage. 2016, 5,6.

¹² <https://shorturl.at/FcSB6>

საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ სადავოა თავად ბრალდებულის მხრიდან ჩადენილი ქმედებების სისხლის სამართლის ქმედებად კვალიფიკაციის შესაძლებლობა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ ბრალდებულების ქმედებები, შესაძლოა, ვერც აღწევდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისთვის საჭირო სტანდარტებს, დამატებით, საქართველოს პროკურატურა ბრალდებულებს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მასში მონაწილეობის დანაშაულის ჩადენას ისე ედევნება, რომ ამ დრომდე არ არის დადგენილი ბრალდებულებს შორის კავშირი, დანაშაულის ორგანიზატორსა და მონაწილეებს შორის კავშირი, კომუნიკაცია და სხვა საკითხები.¹³

სსკ-ის 225-ე და 226-ე მუხლების მიმართება გამოხატვის თავისუფლებასთან

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე და 226-ე მუხლებით კრიმინალიზებული ქმედებები მიემართება შეკრებისა და მანიფესტაციის კონსტიტუციურ უფლებას, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია გამოხატვის თავისუფლებასთან. ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც მითითებულია, რომ ორივე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობის ცალკეული ნიშნების დასჯადობა სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლით არის გათვალისწინებული. თუმცა ამ მუხლებისგან სსკ-ის 225-ე და 226-ე მუხლებით კრიმინალიზებულ ქმედებებს სწორედ ის განასხვავებს, რომ დანაშაულის ჩამდენის მიზანია პროტესტის გამოხატვა.¹⁴

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია შეკრების უფლება და დადგენილია, რომ „ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, შეკრების უფლება „უფლებით მოსარგებლე პირს (მისი პოლიტიკური, სოციალური, არტისტული, რელიგიური და ა.შ.) გრძნობებისა და შეხედულებების გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს. შეკრება და მანიფესტაცია შეიძლება იყოს პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელი ელემენტი, ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას, ინფორმაციის მიღებასა და გავრცელებას და ა.შ.“¹⁵ ამასთან ერთად, შეკრებისა და მანიფესტაციის გამოხატვის ფორმები, შესაძლოა, შოკისმომგვრელი იყოს საზოგადოებისთვის, მაგრამ უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი დაცულია გამოხატვის თავისუფლებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ „ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ჩარევას გამოხატვის თავისუფლებაში - როგორც შოკისმომგვრელად და მიუღებლად უნდა ეჩვენებოდეთ ზოგიერთი მოსაზრება ან გამოყენებული სიტყვა ხელისუფლების ორგანოებს - აზიანებს და ხშირად საფრთხეს უქმნის

¹³ <https://www.radiotavisupleba.ge/a/ჯგუფური-ძალადობისთვის-დაკავებულები/33229770.html>

¹⁴ ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარი.

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად დიდიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

დემოკრატია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ძალადობისკენ მოუწოდებენ ან უარყოფენ დემოკრატიულ პრინციპებს“.¹⁶ შესაბამისად, შეკრების უფლების სათანადო რეალიზებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის და მისი შეზღუდვა დასაშვებია მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლებით. შეზღუდვის შესაძლებლობა ძირითადად დაკავშირებულია იმგვარ შემთხვევებთან, როდესაც შეკრება იღებს კანონსაწინააღმდეგო ხასიათს. მსგავს შემთხვევებში სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებს წარმოადგენს გადაწყვეტოს, რა სამართლებრივი მექანიზმით უპირისპირდება კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ავტორებს, კერძოდ, იყენებს სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს, თუ ადმინისტრაციულ გადაცდომად აფასებს კონკრეტულ ქმედებებს.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართალში მოქმედებს Ultima Ratio - იგივე სუბსიდიურობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ სისხლის სამართლის მექანიზმი გამოიყენება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში და იგი მოქმედებს მაშინ, როდესაც სხვა სამართლებრივი მექანიზმები არ არის საკმარისად ეფექტიანი.¹⁷ აღნიშნულისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში შეკრების უფლების მნიშვნელობის გათვალისწინებით, გასარკვევია, რამდენად სამართლიანი და პროპორციულია სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება გამოხატვის თავისუფლების და შეკრების უფლების შეზღუდვის მიზნით.

1.2. დოქტრინალური და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

„სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ და ძალადობის საკითხისთვის

სსკ-ის 225-ე და 226-ე მუხლები საპროტესტო მოძრაობების „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ ჭრილში განხილვას საჭიროებს. ბოლო ათწლეულებში მსოფლიოს გარშემო დაწყებულმა მასშტაბურმა საპროტესტო ტალღებმა (Occupy Wall Street, ‘ყვითელი ჟილეტები’, Black Lives Matter, Letzte Generation და სხვ.) სამოქალაქო დაუმორჩილებლობის რეკონცეპტუალიზებისა და ხელახალი გააზრების აუცილებლობა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა. „სამოქალაქო დაუმორჩილებლობა“ გულისხმობს კანონის შეგნებულ დარღვევას, ჩადენილს ხელისუფლების ან ფართო საზოგადოებასთან კომუნიკირების მიზნითა და საკანონმდებლო თუ პოლიტიკური ცვლილებისთვის. სამეცნიერო წრეებში გაბატონებულია აზრი, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ან საერთოდ არ უნდა ექვემდებარებოდეს რაიმე ტიპის სამართლებრივ დევნას, ან მასზე უნდა გავრცელდეს უკიდურესად რბილი და სიმბოლური სანქციები.¹⁸

მიუხედავად განსხვავებული ახსნებისა და საფუძვლებისა, ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა არაძალადობრივ პროტესტშია ჩაშენებული. ჰანა არენდტისთვის, ძალადობა პოლიტიკის ანტითეზაა და, შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური ქმედება ამ პრინციპის გამოხატულება უნდა იყოს.¹⁹ სამოქალაქო

¹⁶ Faber v. Hungary (40721/08), 24.10.2012, §37, ECHR.

¹⁷ Ashworth/Horder, Principles of Criminal Law, Principles of Criminal Law, 63.

¹⁸ Marcou, Andreas. 2021. “Violence, communication, and civil disobedience.” *Jurisprudence* 12(4): 491-511. p. 493.

¹⁹ *Ibid.* p. 495.

დაუმორჩილებლობის მიზანი სხვათა პოლიტიკური დარწმუნებულობის ძიებაა. ეს კი ძალადობასთან თანხვედრაში არ მოდის, რადგან „ძალადობა ყოველთვის უმეტესეულოა და პოლიტიკურ ინტერაქციასა და დარწმუნებას შეუძლებელს ხდის“.²⁰ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პროცესში დაუშვებელია მხედველობის არედან გაქრეს სამომავლო კოოპერაციისა და განსხვავებულ აზრთა დაახლოების მიზნები.²¹ ამ ხედვებში, ნებისმიერი ადამიანის მიმართ გამოხატული ამა თუ იმ ფორმის ძალადობა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეაში ვერ თავსდება, თუმცა, მაგალითად, ნივთებზე/ობიექტებზე განხორციელებული თავდასხმები მის ფარგლებში შეიძლება მოექცეს.²²

თუმცა არსებობს ამ გარკვეულწილად იდეალიზებული ხედვის საპირისპირო იდეებიც. მაგალითად, მაქს ვებერი აღნიშნავდა, რომ პოლიტიკური ქმედება ყოველთვის მოითხოვს ძალის გამოყენებას და მისგან სრული დისტანცირება პრაქტიკულად შეუძლებელია.²³ მეტიც, თუკი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა ჰაბერმასისეული კომუნიკაციური ქმედების ანალოგია, მაშინ მან ძალადობის კომპონენტი მარტივად შეიძლება შეითავსოს. ზოგიერთი ‘ძალადობრივი’ აქტი ატარებს ძლიერ სიმბოლურ მესიჯს, ახდენს პოლიტიკური სიტუაციის ‘ურგენტულობის’ დემონსტრირებას, ამტკიცებს პროტესტანტთა გულწრფელობას და, საბოლოოდ, წარმატებით აღწევს ფართო საზოგადოებასთან კომუნიცირების მიზანს.²⁴ შესაბამისად, მნიშვნელოვანია უშუალოდ პროტესტის ქრილში ‘ძალადობის’ სწორი განმარტება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის იდეის ქვეშ მისი მოქცევის გადასაწყვეტად.

იმის გამო, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობა თავისთავად გულისხმობს კანონის გარკვეულ უგულებელყოფას, ძალადობის პრობლემა ლეგალურობის, კრიმინალიზების და ზიანის საკითხებს გადაეჯაჭვება. ძალადობის კანონისმიერი გაგება ყოველთვის ინსტრუქციულია: ძალადობრიობაა მისი აკრძალვის ერთადერთი საფუძველი. როგორც ერთ-ერთი ავტორი აღნიშნავს, „დანაშაულის შიში, დიდწილად, ძალადობის შიშია“.²⁵ ძალადობა ზიანთანაა დაკავშირებული, თუმცა მისგან მაინც დისტანცირებულია. ზიანი არაძალადობრივმა აქტებმაც შეიძლება გამოიწვიოს. მაგალითად, სასწრაფო დახმარების მძღოლების გაფიცვა მშვიდობიანი, თუმცა დიდი ზიანის მომტანია.²⁶ საპირისპიროდ, ძალადობრივი აქტი ზიანში შეიძლება საერთოდ არ გამოიხატოს. ამდენად, ‘ძალადობრივი ქმედების’ განმარტება მოითხოვს არა უკანონო აქტის შედეგების, არამედ მისი ბუნების გამოკვლევას.²⁷

ცელკე აღებული ვერც ‘ძალადობის’ და ვერც ‘ზიანის’ განმარტება ვერ მიგვიყვანს წარმატებულ შედეგამდე, რადგან თავად ეს ტერმინები სუბიექტურ შეფასებებს ექვემდებარება. პროტესტებთან კავშირში ამ პრობლემის გადაწყვეტის მცდელობაა მიდგომა, რომ „ძალადობა

²⁰ *Ibid.*, p. 496.

²¹ *Ibid.*

²² *Ibid.*

²³ *Ibid.*

²⁴ *Ibid.*, p. 497.

²⁵ *Ibid.*, p. 499.

²⁶ *Ibid.*

²⁷ *Ibid.*

უნდა მოთავსდეს ძალის იმგვარი გამოყენების კონტექსტში, რომლის პირდაპირი მიზანი სერიოზული ფიზიკური ან ემოციური ზიანის მიყენებაა“. ამ შემთხვევაში ზიანის დადგომის საკითხი არ მნიშვნელობს, და არც უბრალოდ ‘ძალის გამოშვება’ (sheer use of force) ქმნის თავისთავად ძალადობის შინაარსს.²⁸ ძალადობის დასაფუძნებლად მენტალური კომპონენტიც გადამწყვეტი.²⁹ მარტოოდენ ის ფაქტი, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობამ გამოიწვია არეულობა, გაღიაზიანება თუ დისკომფორტი, ქმედების ძალადობრივად კვალიფიცირებისთვის ვერ გამოდგება. თუ პროტესტანტების ქცევა აშკარად ამჟღავნებს ‘ძალის გამოშვებით’ სათქმელის სიმბოლური რეპრეზენტაციის მიზანს, ის აბსოლუტურად დაცული უნდა იყოს სამოქალაქო დაუმორჩილებლობის პრინციპით.

საერთაშორისო სტანდარტები

ზემოთ აღწერილ დოქტრინალურ მიდგომებს დიდწილად მიჰყვება საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკაც. გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენციის“ ოფიციალურ განმარტებაში აღნიშნულია, რომ 21-ე მუხლის (მშვიდობიანი შეკრების უფლება) მიზნებისთვის ძალადობა გულისხმობს „შეკრების მონაწილეების მხრიდან ფიზიკური ძალის გამოყენებას, რასაც, მოსალოდნელია, შედეგად მოჰყვეს ადამიანის ტრავმირება, გარდაცვალება, ან საკუთრების სერიოზული დაზიანება“.³⁰ როგორც წესი, მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლა პრინციპულად დაუშვებელია. Amnesty International მიუთითებს, რომ არ შეიძლება ამა თუ იმ სახის სანქციის დაწესება სამოქალაქო დაუმორჩილების აქტებისთვის, თუნდაც ისინი შიდა კანონმდებლობას ეწინააღმდეგებოდეს, თუ ეს უკანასკნელი თავად არ არის თანხვედრაში ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან.³¹

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ სანქცია გამოიყენება, ის ჩადენილი ქმედების პროპორციული უნდა იყოს, საპატიმრო სასჯელები კი თავიდან უნდა იქნას აცილებული.³² საჯარო თანამდებობის პირებმა თავი უნდა შეიკავონ იმგვარი განცხადებებისგან, რაც პროტესტში მონაწილე ადამიანების - მათი, ვინც უბრალოდ საკუთარი უფლებების რეალიზებას ახდენენ - სტიგმატიზებასა და ინკრინინირებას გამოიწვევს.³³ დაუშვებელია იმგვარი ქმედებების კრიმინალიზება, რომლებიც ტიპურია სამოქალაქო შეკრებებისა და დემონსტრაციებისათვის, მაგალითად, კრიტიკული გამოსვლები ან პოლიციასთან სიტყვიერი შეპირისპირება.³⁴ მათ შორის, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო პროტესტანტების მიმართ ისეთი ბრალდებების გამოყენებისას, როგორიცაა „ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი დაუმორჩილებლობა ან თავდასხმა“, რადგან ეს, შესაძლოა, მანიპულაციურად იქნას გამოყენებული დაკავებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისათვის.³⁵

²⁸ *Ibid*, p. 500.

²⁹ *Ibid*, p. 501.

³⁰ General comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21). Para.: 15.

³¹ Amnesty International. 2024. “GUIDELINES ON THE RIGHT TO FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY.” p. 33.

³² *Ibid*.

³³ *Ibid*.

³⁴ *Ibid*.

³⁵ *Ibid*, p. 34.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ, ბოლო განმარტებებით, 'სამოქალაქო დაუმორჩილებლობა' პროტესტის ცენტრალურ შემადგენლად და შეკრების თავისუფლებით დაცულ სიკეთედ აღიარა. საბჭო აღნიშნავს, რომ მისი შეზღუდვაც, შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებს.³⁶ მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომაა, რომ კონკრეტული საპროტესტო აქტივობები, თუნდაც არაკანონიერი იყოს, დაცულია მშვიდობიანი შეკრების უფლებით, როცა ისინი დაცლილია „ძალადობრივი მიზნებისა და ქმედებებისგან“.³⁷ საქმეში, *Ekrem Ca v. Turkey* (2022), სასამართლომ, მართალია, აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში არალეგალური მოქმედებების ინტეგრირებისას სახელმწიფოები სარგებლობენ რეგულირების ფართო მიხედულებით, თუმცა „ეს შეუზღუდავ დისკრეციას არ გულისხმობს“.³⁸ თითოეულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს „მოსალოდნელი სასჯელის ბუნება და ინტენსივობა იმგვარი ქმედებისთვის, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის გარკვეული ხარისხით დარღვევას მოიცავს“.³⁹ ამ საქმეში სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია მშვიდობიან დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის აპლიკანტების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა, ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელი და წინასწარი დაკავება.⁴⁰

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმეა *Case of Yezhov and Others v. Russia* (2021). მოსარჩლეებმა მონაწილეობა მიიღეს დემონსტრაციაში, რომელიც მოიცავდა სამთავრობო ოფისების დროებით დაკავებას, საკუთარი სხეულებით ბარიკადირებას, პოლიტიკური პროკლამაციების შეყრასა და ფოიერვერკების გამოყენებას. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია დემონსტრანტების თავდაპირველი დაკავება და შენობის გათავისუფლება, თუმცა იქვე მიუთითა, რომ „ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ წარმოადგინეს რელევანტური და საკმარისი არგუმენტები აპლიკანტებისთვის 5-წლიანი პატიმრობის შეფარდების გასამართლებლად“.⁴¹

დემონსტრანტების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება განსაკუთრებულ გამართლებას საჭიროებს.⁴² მეტიც, საქმეში, *Chkhartishvili v. Georgia* (2023), სტრასბურგის სასამართლომ არაპროპორციულად მიიჩნია საპატიმრო სასჯელის - 8-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის - გამოყენება გზის სავალი ნაწილიდან გადასვლის მოთხოვნის დაუმორჩილებლობისა და პოლიციისთვის ლობიოს მარცვლების შეყრის გამო.⁴³

დამატებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბრალდების ინდივიდუალიზებას. კერძოდ, დაუშვებელია მშვიდობიანი შეკრების მონაწილე დაისაჯოს ქმედებისთვის, რომელიც

³⁶ Flores, Ona. 2023. "Case law on peaceful protests." *Global Freedom of Expression: Columbia University*. p. 31.

³⁷ Ibid.

³⁸ Ibid, p. 32.

³⁹ Ibid.

⁴⁰ Ibid.

⁴¹ Ibid, pp. 32-33.

⁴² Council of Europe/European Court of Human Rights. 2024. Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights: Freedom of assembly and association, para. 82.

⁴³ Ibid, para. 83.

პირადად მას არ ჩაუდენია, თუნდაც დემონსტრაციამ არეულობა და ზიანი გამოიწვიოს.⁴⁴ ეს დათქმა ვრცელდება აქციის ორგანიზატორებზეც.⁴⁵ მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ ერთმანეთისგან განარჩიოს მშვიდობიანი და ძალადობრივად მოქმედი დემონსტრანტები.⁴⁶ სამართალდამცავ უწყებებს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ მასობრივი დაკავებების დაწყების გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან ამ დროს მაღალია მშვიდობიანი მონაწილეების უფლებების შელახვის საფრთხე.⁴⁷ დიფერენცირების ტაქტიკები უნდა ეყრდნობოდეს ძალადობის ინიციატორების გამოვლენას და იყენებდეს სხვადასხვა კომუნიკაციის არხებს დემონსტრანტებთან ურთიერთობისთვის.⁴⁸ როცა საკითხი ძალადობას ეხება, მნიშვნელოვანია, კანონმდებლობა და შესაბამისი სამსახურები ითვალისწინებდნენ, რომ:

- ❖ არსებობს განსხვავებები არაკანონიერი აქტების ინტენსივობაში;
- ❖ ძალადობა ადამიანის და ძალადობა ნივთის მიმართ ერთსა და იმავე შეფასებას ვერ დაექვემდებარება;
- ❖ ხშირად ძალადობის ინიციატორები თავად სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლები არიან;
- ❖ არაძალადობრივ პროტესტანტებს ხშირად უსამართლოდ სჯიან მხოლოდ იმის გამო, რომ შეუერთდნენ იმავე აქციას, სადაც, მათ შორის, ზოგიერთი მონაწილე ძალადობრივ ქმედებებში ერთვება.⁴⁹

მიიჩნევა, რომ შეკრების თავისუფლებაში ნებისმიერი ჩარევა „გარდაუვლად დროით-სენსიტიურია“.⁵⁰ ამიტომ, პროტესტანტების დაკავება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა ეს აუცილებელია სერიოზული სისხლისსამართლებრივი დანაშაულის თავიდან ასარიდებლად.⁵¹ მეტიც, თუ არსებობს გონივრული საფუძვლები ხელისუფლების წარმომადგენლების მოწოდების შეუსრულებლობისთვის, პირის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს.⁵² დამატებით, მიზანშეწონილი არაა ბლანკეტური აკრძალვების დაწესება ისეთი დროებითი კონსტრუქციებისა და ნივთების გამოყენებაზე, რომლებიც აძლიერებს საპროტესტო გზავნილებს, მაგალითად, აუდიო/ვიზიუალური ინსტრუმენტები.⁵³

კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი (მშვიდობის დარღვევა, *Breach of peace*) დასჯადად აცხადებს მონაწილეობას „ძალადობრივ მოქმედებებში ადამიანების ან საკუთრების წინააღმდეგ, ჩადენილი ხალხის მასის მიერ, რომლებმაც გააერთიანეს ძალები

⁴⁴ *Ibid*, para. 111.

⁴⁵ *Ibid*.

⁴⁶ Marcus, Nancy C. 2023. “WHEN “RIOT” IS IN THE EYE OF THE BEHOLDER: THE CRITICAL NEED FOR CONSTITUTIONAL CLARITY IN RIOT LAWS.” *AMERICAN CRIMINAL LAW REVIEW* 60(): 281-346. p. 311.

⁴⁷ *Ibid*.

⁴⁸ *Ibid*.

⁴⁹ *Ibid*, p. 333.

⁵⁰ OSCE/ODIHR. 2010. *Guidelines on Freedom of Peaceful Assembly*. Second edition, p. 31.

⁵¹ *Ibid*.

⁵² *Ibid*, p. 62.

⁵³ Article 19. 2016. “The Right to Protest: Principles on the Protection of Human Rights in Protests.” Principle 9.

იმგვარად, რომ საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას⁵⁴. იმავე მუხლით ისჯება ამგვარი მოქმედებების მოწოდება/წახალისება⁵⁵. ამ ნორმის ანალოგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 225-ე მუხლის შეიძლება მივიჩნიოთ. ქართული მოწყობისგან განსხვავებით, ამგვარ ქმედებებში მონაწილეობა ან მისი წახალისება გერმანული კანონმდებლობით ისჯება არაუმეტეს 3 წლით ან ჯარიმით (საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ოთხიდან ექვს წლამდე)⁵⁶.

მშვიდობის განსაკუთრებით სერიოზულ დარღვევად (125a) მიიჩნევა იმავე ქმედებების ჩადენა დამამძიმებელ გარემოებებში. ასეთია შემთხვევები, როცა სამართალდამრღვევი ატარებს *ცეცხლსასროლ ან სხვა იარაღს*, სხვა ადამიანს აყენებს *სიკვდილის ან ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების* წინაშე, ან იწვევს სხვისი *საკუთრების მნიშვნელოვან დაზიანებას*⁵⁷. სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა *6 თვიდან 10 წლამდე* ვადით. საილუსტრაციოდ, საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, სხვებს შორის, ასახელებს ჯგუფური მოქმედების ორგანიზებას/ხელმძღვანელობას, რასაც თან ახლავს „სხვისი ნივთის დაზიანება“. ამ ნორმის ფარგლებში შეიძლება მოექცეს ნებისმიერი ნივთის ნებისმიერი ხარისხით დაზიანება. სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ 2011 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებებით 225-ე მუხლის მოქმედების ფარგლები იმდენად გაფართოვდა, რომ ის აღარ პასუხობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებს. თუმცა სასამართლო პრაქტიკითა და დოქტრინით დასტურდება მისი დავიწროებულად განმარტების მიზანშეწონილობა. ეს არგუმენტი დამატებით მყარდება იმ ფაქტით, რომ 225-ე და 226-ე მუხლები განიხილება გამოხატვის თავისუფლებასთან ბმაში, რომელიც დაცვის განსაკუთრებით მაღალი გარანტიებით სარგებლობს. კერძოდ, ‘ძალადობის’ საკითხი მჭიდროდაა გადაჯაჭვული სამოქალაქო დაუმორჩილებლობის და აზრის სიმბოლური რეპრეზენტაციის მიზნებთან, სადაც სუბიექტური კომპონენტი გადამწყვეტია. როგორც საერთაშორისო სტანდარტები, ისე ქართული საერთო სასამართლოების პრაქტიკა მიჰყვება იმ დათქმას, რომ ნაკლებად მკაცრი სისხლისსამართლებრივი სანქცია უნდა გამოიყენებოდეს, როდესაც ინდივიდთა თავისთავადი მიზანი არ არის ძალადობრივი ქმედებების განხორციელება. ამავე მიდგომას მიჰყვება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რისი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიცაა *Case of Yezhov and Others v. Russia* (2021). ამ საქმეში, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია 5 წლით თავისუფლების აღკვეთა პროტესტის დროს სამთავრობო ოფისების დაკავების, ბარიკადირებისა და ფოიერვერკების გამოყენებისთვის. შესაბამისად, „ქართული ოცნების“ მიერ აქტივისტების სისხლისსამართლებრივი დევნა დასახელებული მუხლების საფუძველზე არა

⁵⁴ Acts of violence against persons or property.

⁵⁵ Whoever encourages a crowd of people to commit such acts.

⁵⁶ German Criminal Code, Section 125 (1).

⁵⁷ *Ibid*, section 125a.

სამართლებრივი წესრიგის დაცვის, არამედ რეალურად მისი უგულებელყოფის გზით პოლიტიკური დევნის მაგალითია.

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლი

2.1. ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კრიტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტელერადიომუშყეობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდების ან ბლოკირების შემთხვევაში, რამაც შეაფერხა ან შეეძლო შეეფერხებინა ამ დაწესებულების ან ობიექტის ნორმალური მუშაობა. ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ განზრახ და დანაშაულის ჩადენას ადგენს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ნორმით დაცული ობიექტის ნორმალური მუშაობა შეფერხდება, არამედ მაშინაც, როდესაც ქმედებას შეეძლო შეეფერხებინა ობიექტის მუშაობა. ნორმა თავისი შინაარსით ბლანკეტურია და იმის განსაზღვრად, თუ რა ქმედებას მიიჩნევს კანონმდებელი დანაშაულად, მოქალაქემ უნდა მიმართოს სხვადასხვა სამართლებრივ აქტს.

წლების განმავლობაში ნორმის დისპოზიცია არ შეიცავდა არანაირ მითითებას, თუ რა მიიჩნეოდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტად. 2024 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის №361-ე დადგენილებით დამტკიცდა სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის ან/და 330-ე მუხლის მიზნებისათვის. საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ამ დადგენილების მიღება 2024 წლის გაზაფხულზე საქართველოში მიმდინარე მასობრივ საპროტესტო აქციებს და უშუალოდ საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ შეკრება/მანიფესტაციებს უკავშირდებოდა. კერძოდ, „ქართული ოცნების“ მიერ, საქართველოს პარლამენტში ე.წ. რუსული კანონის განმეორებით ინიცირებას 2024 წლის მაისში მოქალაქეთა მასობრივი პროტესტი მოჰყვა და კანონის მესამე მოსმენით მიღების წინა დღეს, 2024 წლის 12 მაისს, პროტესტის მონაწილეებმა დააანონსეს საქართველოს პარლამენტთან ღამის თევა და საკუთარი პროტესტის გამოხატვის მიზნით საქართველოს პარლამენტის სხვადასხვა შესასვლელთან გაჩერება. შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიჩნია, რომ მოქალაქეთა ქმედებები, შესაძლოა, ყოფილიყო სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება და 2024 წლის 13 მაისს დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.⁵⁸ თუმცა ამ პერიოდისთვის არ არსებულა საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების რაობას და, შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის შესასვლელებთან შეკრების მონაწილეთა განთავსება გარდა იმისა, რომ ობიექტურად არ იწვევდა შენობის ბლოკირებას, ვერც სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენად განიხილებოდა. შედეგად, საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 23 ოქტომბერს

⁵⁸ <https://www.radiotavisupleba.ge/a/მთავრობა-დემონსტრანტებს-222-ე-მუხლით-ემუქრება/32943326.html>

მიიღო ზემოთ დასახელებული დადგენილება და სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული ობიექტების სიას მიაკუთვნა საქართველოს პარლამენტი და სხვა სახელმწიფო უწყებები.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის 23 ოქტომბერს შეიქმნა დადგენილება, სისხლის სამართლის კოდექსი კვლავ არ შეიცავდა არანაირ მითითებას იმ სამართლებრივი აქტის თაობაზე, რომელიც განსაზღვრავდა სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების სიას. 2025 წლის იანვრის ბოლოს, მას შემდეგ, რაც განგრძობადი სამოქალაქო პროტესტის მონაწილეებმა 2025 წლის 2 თებერვალს, დააანონსეს თბილისში, აღმაშენებლის ხეივანში მდებარე „თბილისი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე აქცია და გზის გადაკეტვა, 2025 წლის 31 იანვარს, საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებაში შევიდა ცვლილება და სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული ობიექტების სიას დაემატა „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხით განსაზღვრული საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები (ავტომაგისტრალები), რომელთა შორის მითითებული იყო აღმაშენებლის ხეივნის მთლიანი ტერიტორია. შედეგად, საქართველოს მთავრობამ აღმაშენებლის ხეივანში შეკრებისა და მანიფესტაციის დროს გზის სავალი ნაწილის გადაკეტვის კრიმინალიზება მოახდინა. მთავრობის დადგენილებაში შესული ცვლილების შემდგომ საქართველოს პარლამენტში დაინიჭირდა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი და სსკ-ის 222-ე მუხლს დაემატა შენიშვნა, რომელიც ადგენს იმ სამართლებრივი აქტის რაობას, რომლითაც დგინდება სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ობიექტების სია. სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილებით ავტომაგისტრალის გადაკეტვის კრიმინალიზება არღვევს სისხლის სამართლის მნიშვნელოვან პრინციპებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს, განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დანაშაულებრივი, და აწესებს შესაბამის სასჯელს ან სხვა სახის სისხლის სამართლებრივ ღონისძიებას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის თანახმად კი, მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, ადმინისტრაციული საპროცესო, სასჯელადსრულების კანონმდებლობა, შრომის, სამეწარმეო კანონმდებლობა. ამავე ორგანული კანონის მე-10 მუხლის თანახმად კი, საკანონმდებლო აქტის მიღების ექსკლუზიური უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს პარლამენტს, ხოლო საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიძლება დაზუსტდეს ცალკეული დეტალები. შესაბამისად, თავად სისხლის სამართლის კოდექსი უნდა შეიცავდეს დანაშაულის დამაფუძნებელ ელემენტებს, რაც შეიძლება შემდგომ მთავრობის აქტით დაზუსტდეს. ვინაიდან, სსკ-ის 222-ე მუხლი არ შეიცავს არანაირ მითითებას, თუ რა შეიძლება მიიჩნეოდეს სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტად, ობიექტების ნუსხის განსაზღვრა საქართველოს მთავრობის დადგენილებით წინააღმდეგობაში მოდის ურთიერთშეკავების და გაწონასწორების [checks and balances] კონსტიტუციურ პრინციპთან. საქართველოს მთავრობის დადგენილებით სტრატეგიულ ან/და განსაკუთრებულ ობიექტად

შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ობიექტი, მათი წრე დაუსრულებლად შეიძლება გაფართოვდეს და, ცხადია, ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენების თვითნებობის რისკები არსებითად მაღალია.

სსკ-ის 222-ე მუხლი ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპსაც, რომლის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა სისხლის სამართალში ნორმის განჭვრეტადობა. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით აღიარებული და განმტკიცებულია კანონიერების პრინციპი.⁵⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებელი ზღუდავს კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებას, იგი ვალდებულია მიიღოს ისეთი სამართლებრივი ნორმები, რომლებიც გამოირჩევიან სიცხადით, ცალსახაობითა და წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობით. ასეთი მიდგომა გამოხატავს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას, რაც კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. ეს ვალდებულება უშუალოდ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან.⁶⁰ თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კანონიერების პრინციპის მნიშვნელობას თავისი პრაქტიკის ფარგლებში. სასამართლოს შეფასებით, სანქციის დამწესებელი ნორმები უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განსაზღვრადი ყველა პოტენციური ადრესატისთვის.⁶¹ სისხლის სამართალში ეს მოთხოვნები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და აუცილებელია, რომ დანაშაულის შემადგენელი ელემენტები იმგვარად იყოს გაწერილი კანონში, რომ ადამიანს შეეძლოს მათი ცალსახად გაგება და კანონის შესაბამისი ქცევის უზრუნველყოფა, მათ შორის, საკუთარი თავის დაცვა სახელმწიფო ორგანოების თვითნებობისგან.⁶² შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის 222-ე მუხლი ზოგადად უთითებს სტრატეგიულ და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე, თუმცა ასეთი ობიექტების მნიშვნელობის განმსაზღვრელ ობიექტურ კრიტერიუმს არ შეიცავს. გარდა ამისა, ის დასჯადად აცხადებს ქმედებას მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულ ქმედებას არ გამოუწვევია ობიექტის ნორმალური მუშაობის შეფერხება, სახელმწიფოს ფართო მიხედულობის ფარგლებში აქცევს, არ ბოჭავს მას და არღვევს კანონიერების პრინციპს.

⁵⁹ CASE OF YÜKSEL YALÇINKAYA v. TÜRKİYE, 15669/20, 26/09/2023; ასევე, იხ.: The Sunday Times v. United Kingdom, 6538/74, 26/4/1979, para. 47, 49; Casado Coca v. Spain, 15450/89, 24/2/1994, para. 43. ანალოგიურ სტანდარტებს აწესებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო: ECJ C-439/01 Judgment of 16. 1. 2003 Cipra and Kvasnicka, para. 47; ECJ C – 169/80 Judgment of 9.7. 1981.Gondrand Frbes and Garancini, para.17; ECJ 257/86 Judgment of 21. 6. 1988 Commi ion v. Italy, para. 12; ECJ 325/85 Judgment of 15. 12. 1987 Ireland v. Commi son, para. 18.

⁶⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ევატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11,12.

⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

⁶² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 30.

მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს ავტომაგისტრალის ბლოკირების საქმეში ბრალდებული პირები

2025 წლის 2 თებერვალს, თბილისის გასასვლელთან, „თბილისი მოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა საპროტესტო აქცია. საპროტესტო აქციას წინ უსწრებდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით დასჯადად გამოცხადდა საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის ბლოკირება. მიუხედავად იმისა, რომ მიღებული ცვლილებები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას და არღვევს მნიშვნელოვან სამართლებრივ პრინციპებს, აქციის მიმდინარეობის დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა აქციის რვა მონაწილე სისხლის სამართლის წესით დააკავეს და მოგვიანებით მათთვის წარდგენილი ბრალდებით ცნობილი გახდა, რომ პროკურატურა დაკავებულებს საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის ჯგუფურად ბლოკირების მცდელობას ედავება, რაც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 222-ე მუხლებით.⁶³ ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდათ გირაო, რის შემდგომაც მათ დატოვეს საპატიმრო დაწესებულება.

2.2. საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის მიერვე განვითარებული ‘გასაკიცხი ქმედების’ (‘reprehensible conduct’) კატეგორიას, რომელსაც სასამართლო იყენებს შეკრების უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობის ანალიზისთვის.⁶⁴ ამ საკითხში სასამართლოს პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ეს გამოჩნდა საქმეში, *Kudrevičius and Others v Lithuania* (2015), რომელიც ეხებოდა ლიეტუველი ფერმერების მიერ მაგისტრალის ბლოკირებას მარცვლეულის ფასების გაპროტესტების კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა სამი მსხვილი ავტომაგისტრალის თითქმის სრულ ბლოკირებას.⁶⁵

Kudrevičius and Others v Lithuania (2015) საქმეში სტრასბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა აპლიკანტების სარჩელი, რომლებიც ადგილობრივი სასამართლოს მიერ გამოტანილ საპატიმრო სასჯელს ეხებოდა. ამ უკანასკნელის შეფასებით, გზის ბლოკირება მასობრივი არეულობის მუხლით (Rioting) დაკვალიფიცირდა. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ „მომძაობის გამიზნული ობსტრუქცია, ცხოვრების ჩვეული რიტმისა და სხვა ადამიანების საქმიანობის სერიოზული ხელშეშლა, მე-11 მუხლის გულისგული არაა“. ⁶⁶ დამატებით, სასამართლოს თქმით, დემონსტრანტებს უკვე მინიჭებული ჰქონდათ სხვა ადგილას მანიფესტაციის ჩატარების უფლება.⁶⁷ ამგვარად, სტრასბურგის სასამართლომ

⁶³ <https://batumelebi.netgazeti.ge/news/560994/>

⁶⁴ Mishra, Mythili. 2022. “‘Legitimate’ Protest in European Human Rights Law: A Critical Reconstruction”. *Cambridge Law Review* 7(2): 28-55. p. 34.

⁶⁵ Council of Europe/European Court of Human Rights. 2024. Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights: Freedom of assembly and association, para. 110.

⁶⁶ Mishra, Mythili. 2022. დასახელებული სტატია. p. 35.

⁶⁷ Ibid.

აღნიშნა, რომ ეს აყალიბებდა 'გასაკიცხი ქმედების' შინაარსს, რომელზეც, შესაძლოა, გავრცელდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁶⁸

თუმცა ეს მიდგომა არა მხოლოდ მკაცრად არის გაკრიტიკებული სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება თავად სასამართლოს მიერ დადგენილ სხვა სტანდარტებსა და საერთაშორისო კარგ პრაქტიკას. სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ აპლიკანტებს ბრალი ედებოდათ მასობრივ არეულობაში, რაც ავტომატურად მოიცავს ძალადობრივ ელემენტს - ეს კი თავად სასამართლომვე უარყო (ე.ი. შეკრება მშვიდობიანი იყო).⁶⁹ მეტიც, სასამართლომ პარალელი გაავლო Schmidberger-ის ქეისზე, რომელიც მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ განიხილა და გზის ბლოკირების დავა პროტესტანტების სასარგებლოდ გადაწყვიტა.⁷⁰

დამატებით, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ლიეტუველი ფერმერების საქმეში, პროტესტანტების გამოხატვის თავისუფლების საპირწინედ არ იდგა ისეთი ზიანი, რომელიც მათ მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას გაამართლებდა. მაგალითად, ამ საქმეში ვერ დამტკიცდა, რომ პროტესტანტებმა ხელი შეუშალეს სასწრაფო დახმარების მანქანების მოძრაობას, რაც სხვა ადამიანების ჯანმრთელობის უფლებას შელახავდა.⁷¹ დამატებით, სასამართლოს გადაწყვეტილება სათანადოდ არ ითვალისწინებდა კონტექსტს. მან არ გაითვალისწინა გარემოება, რომ ამგვარი პროტესტის ორგანიზება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც ფერმერებსა და სახელმწიფოს შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა. ეს ამ ორ მხარეს შორის ძალაუფლების აშკარა დისბალანსზე მიანიშნებს - ფერმერებისთვის ამგვარი პროტესტი მათი უძალობის ბოლო გამოძახილი იყო.⁷² სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ამგვარი ფორმები, მარგინალიზებული ჯგუფებისთვის დემოკრატიულ პროცესში ჩართვის უკანასკნელი საშუალება შეიძლება იყოს.⁷³

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდანვე შეიძლება სხვა მაგალითების მოხმობა. საქმეში, *Oya Ataman v. Turkey* (2006), აპლიკანტს ბრალი ედებოდა არაკანონიერი მარშის ორგანიზებაში. მიუხედავად არაკანონიერებისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ სატრანსპორტო მოძრაობის ხელშეშლის გარდა, მარში საზოგადოებრივ წესრიგს საფრთხეს არ უქმნიდა. შესაბამისად, პოლიციის მიერ ამგვარი დემონსტრაციის ძალისმიერი დაშლა და წიწაკის სპრეის გამოყენება არასაჭირო და არაპროპორციულ ზომად იქნა მიჩნეული.⁷⁴ სასამართლომ მიუთითა, რომ როცა დემონსტრაცია თავისი ბუნებით არ არის ძალადობრივი, სახელმწიფოს მის მიმართ თმენისა და ტოლერირების მაღალი ვალდებულება აკისრია.⁷⁵

⁶⁸ Ibid.

⁶⁹ Ibid.

⁷⁰ Ibid.

⁷¹ *Ibid.*, p. 36.

⁷² Ibid.

⁷³ Ibid.

⁷⁴ Council of Europe/European Court of Human Rights. 2024. Guide on the case-law of the European Convention on Human Rights: Mass protests, para. 77.

⁷⁵ Mishra, Mythili. 2022. დასახელებული სტატია. p. 35.

სწორედ გზების ბლოკირებასთან კავშირში, სასამართლომ იგივე გაიმეორა საქმეებში, Balcik v. Turkey (2007) და Ashughyan v. Armenia (2008).⁷⁶

საინტერესოა დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი განმარტება გზების ბლოკირების საკითხზე საქმეში, Director of Public Prosecutions v. Ziegler and others (2021). დემონსტრანტების ჯგუფმა მჯდომარე აქციის ფარგლებში გადაკეტა კონკრეტულ მოედნამდე მისასვლელი ავტომაგისტრალის ერთი მხარე. რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ „ავტომაგისტრალის განზრახ, ფიზიკური ობსტრუქცია შეიძლება ჯდებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების ფარგლებში“.⁷⁷ დასახელებულ საქმეში მოსამართლემ მიიჩნია, რომ გზით მოსარგებლე ადამიანების გადაადგილების უფლების ფაქტობრივი შეზღუდვა ბევრად ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პროტესტის გამოხატვის უფლების დარღვევა, რომელიც მანიფესტანტების მსჯავრდებას გამოიწვევდა.⁷⁸

სრულად გამართლებული დემონსტრანტები სააპელაციო ინსტანციამ გაამტყუნა. თუმცა უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება კვლავ შეცვალა და პირველი ინსტანციის არგუმენტები გაიზიარა. სასამართლომ გაიმეორა, რომ შეკრებისა და გამოხატვის უფლების განხორციელება თავის თავშივე მოიცავს ნორმალური ცხოვრების რიტმში გარკვეული ხარისხით ცვლილებების შემოტანის შეწყნარებას.⁷⁹ უშუალოდ დასახელებულ საქმესთან კავშირში უზენაესმა სასამართლომ რამდენიმე კომპონენტზე გაამახვილა ყურადღება, კერძოდ: *დემონსტრანტების მიზანი მშვიდობიანი შეკრება იყო და არა რაიმე ფორმის არეულობის გამოწვევა; მათ არ ჩაუდენიათ სხვა კანონდარღვევა, გარდა გზის ბლოკირებისა; ბლოკირება იყო ტარგეტირებული და დროით ლიმიტირებული (გაგრძელდა მხოლოდ 100 წუთამდე);⁸⁰ არსებობდა დანიშნულების ადგილამდე მისვლის ალტერნატიული მარშრუტები.⁸¹* საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ დემონსტრანტებს ჰქონდათ ავტომაგისტრალის გადაკეტვის კანონიერი უფლება და, შესაბამისად, დაუშვებელი იყო მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

დამატებით აღსანიშნავია მსგავს საკითხზე ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის განმარტება. მისი ერთ-ერთი სპეციალური ანგარიშის მიხედვით, გაფიცვები, გზების ბლოკირება და საჯარო სივრცეების დაკავება ნამდვილად შეიძლება იწვევდეს გალიზიანებას, ან თუნდაც გარკვეულ ზიანს, რომლის პრევენციაც მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, პროტესტის არაპროპორციული შეზღუდვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანებს საკუთარი სათქმელის საჯაროდ დაფიქსირების სხვა გზები ჩახერგილი აქვთ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლების რეალიზებას.⁸² ამდენად, „შემაშფოთებელია სისხლისსამართლებრივი სანქციების არსებობა პროტესტში უბრალოდ მონაწილეობის, გზების ბლოკირების (ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერ დროს) ან არეულობის

⁷⁶ OSCE/ODIHR. 2010. *Guidelines on Freedom of Peaceful Assembly*. Second edition, p. 31.

⁷⁷ Flores, Ona. 2023. დასახელებული ნაშრომი. p. 30.

⁷⁸ Ibid.

⁷⁹ Ibid.

⁸⁰ Ibid, pp. 30-31.

⁸¹ Ibid.

⁸² OSCE/ODIHR. 2010. *Guidelines on Freedom of Peaceful Assembly*. Second edition, p. 31.

მოწყობისთვის, როცა, რეალურად, ამგვარი აქტები უხეშად არ ლახავს სხვა ადამიანების კანონით დაცულ ისეთ ინტერესებს, როგორიცაა ინდივიდის სიცოცხლე და თავისუფლება“.⁸³ მსგავსად, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, „ქუჩებზე, სავალ ნაწილზე, პარკებსა და სხვა საჯარო ადგილებზე წვდომა, კონსტიტუციის პირველი შესწორებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების მიზნით, ფართო გაგებით, უარყოფას არ ექვემდებარება“.⁸⁴

საინტერესოა, რომ 2021 წელს, რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები, რომლითაც დაფუძნდა პასუხისმგებლობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ან მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ბლოკირებისთვის, „თუ ამგვარი აქტები ქმნის მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოებისთვის, ან ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრების დაზიანება/განადგურების საფრთხეს“.⁸⁵ ექსპერტებმა ეს ცვლილებები მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ისინი მოძრაობისთვის ხელის შეშლის კრიმინალიზებას მართოდენ რისკზე მითითებით ახდენენ და არა რეალურად დამდგარი შედეგების გამო. 'საფრთხის' კონცეპტი გაკრიტიკდა მისი ბუნდოვანების გამოც.⁸⁶

შესაბამისად, სატრანსპორტო არტერიების ობსტრუქცია, როგორც წესი, მშვიდობიანი შეკრების უფლების გამოხატულებად მიიჩნევა.⁸⁷ Amnesty International-ის მიხედვით, ეს გულისხმობს, რომ სამოქალაქო დაუმორჩილებლობის არაძალადობრივი აქტები, როგორიცაა საჯარო გზებისა და სატრანსპორტო მოძრაობის ბლოკირება, არ შეიძლება აიკრძალოს მართოდენ მათ მიერ გამოწვეული შეფერხების ფაქტის გამო.⁸⁸ ზოგადად, გამართლებულად არ მიიჩნევა გზების ბლოკირებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გათვალისწინება.⁸⁹ არაპროპორციული სანქციების გამოყენებას, თუნდაც გზის გადაკეტვამ გარკვეული ზიანი გამოიწვიოს, აქვს „მსუსხავი ეფექტი“ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობაზე.⁹⁰ „მსუსხავი ეფექტი“ ავტომატურად არ ქრება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან თუნდაც გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას, რადგან თავად ამგვარი საქმეების პოლიტიზება უკვე ქმნის მსგავს პროტესტებში მონაწილეების ხელშემშლელ გარემოს.⁹¹

მსგავსად, საჯარო შენობების დაკავება მშვიდობიან ფორმად მიიჩნევა, მიუხედავად მისი პოტენციური უკანონობის და თანმდევი შეფერხებებისა.⁹² საქმეში, Makarashvili and Others v.

⁸³ *Ibid*, pp. 31-32.

⁸⁴ Moos, Caroline M. 2017. “#ProtestersRightsMatter: The Case Against Increased Criminal Penalties for Protesters Blocking Roadways.” *Mitchell Hamline Law Journal of Public Policy and Practice* 37(1). p. 5.

⁸⁵ Resimić, Miloš. 2021. “Limiting the right to protest: Comparing restrictions in the G7, Russia and China.” *Transparency International*, p. 4.

⁸⁶ *Ibid*.

⁸⁷ Council of Europe/European Court of Human Rights. 2024. Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights: Freedom of assembly and association, para. 28.

⁸⁸ Amnesty International. 2024. “GUIDELINES ON THE RIGHT TO FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY”. p. 77.

⁸⁹ *Ibid*, p. 33.

⁹⁰ *Ibid*, p. 34-35.

⁹¹ Council of Europe/European Court of Human Rights. 2024. Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights: Freedom of assembly and association, para. 79-80.

⁹² *Ibid*.

Georgia (2022), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პარლამენტის შენობის ბლოკირება საკანონმდებლო პროცესის ხელშეშლის მიზნით ავტომატურად არ შეიძლება ჩაითვალოს დემოკრატიული წესრიგის უარყოფად და დასაშვებია, რომ მოთავსდეს კონვენციის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში.⁹³

2.3. კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია

ამ საკითხს ეხება გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლი. 315b-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია საზგაო მოძრაობაში სახიფათო ჩარევა (*Dangerous interference with road traffic*). თუმცა ნორმის კონკრეტულ ქცევაზე გასავრცელებლად, არსებობს ორი კუმულატიური პირობა. პირველი, აქტი უნდა გულისხმობდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ან თავად ტრანსპორტის დაზიანება/განადგურებას ან ბარიკადების მოწყობას, და მეორე, საფრთხე უნდა შეექმნას სხვა ადამიანების სიცოცხლეს ან მნიშვნელოვანი ღირებულების საკუთრებას (property of significant value).

316b-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია საჯარო ტრანსპორტის ოპერირების დარღვევა (*Disruption*). თუმცა, ასეთი ქმედება გამოწვეული უნდა იყოს მისი ოპერირებისთვის საჭირო ობიექტის „განადგურებით, დაზიანებით, გამოცლით, მოდიფიკაციით ან გამოუსადეგარად გახდომით“. ამდენად, პროტესტის დროს გზის გადაკეტვა, როგორც ასეთი, თავისთავად არ არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება. მნიშვნელოვანია, რა კონტექსტში ხდება მისი ბლოკირება, რა მეთოდებით, და ექმნება თუ არა საფრთხე სხვა ადამიანების ჯანმრთელობასა და მნიშვნელოვანი ღირებულების ობიექტებს.

შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 222-ე მუხლის არსებული რედაქცია, რომელიც ავტომაგისტრალების გადაკეტვის კრიმინალიზებას ახდენს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, არღვევს სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს. კერძოდ, ამ გზით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი და ქმედების დანაშაულებრივი ბუნება დგინდება არა საკანონმდებლო, არამედ კანონქვემდებარე აქტით. დამატებით, 222-ე მუხლი ვერ პასუხობს განჭვრეტადობის მოთხოვნებს. გარდა ამისა, საჯარო გზების მშვიდობიანი ბლოკირება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში თავსდება. ამაზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების ერთობლიობაში განხილვა, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოების პრაქტიკა, ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიისა და Amnesty International-ის განმარტებები. ბლანკეტურად, კანონქვემდებარე აქტით, სავალი გზის ნაწილის ბლოკირების კრიმინალიზება ეწინააღმდეგება კანონიერების მოთხოვნებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, და მნიშვნელოვნად წააგავს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსში 2021 წელს შესულ ცვლილებებს. შესაბამისად, აქტივისტების მიმართ ამ ნორმის საფუძველზე განხორციელებული დევნა სამართლის პრინციპების უგულებელყოფაა.

⁹³ *Ibid*, para. 29.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლი

3.1. ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და კრიტიკა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა

საქართველოს სისხლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმისას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დასჯადია პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მის სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მის სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგი ნაწილებით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის ხელყოფის, სიცოცხლის მოსპობის ან ისეთი დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას, როგორიცაა დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად, არაერთგზის, არასრულწლოვნის თანდასწრებით ან საყოველთაოდ საშიში საშუალებებით.

ამ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისთვის აუცილებელია არსებობდეს თავდასხმის ფაქტი და თავდასხმის განზრახვა, რომელიც მიემართება პოლიციელს, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელს ან მათი ოჯახის წევრებს მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე. ნორმა არ შეიცვას მითითებას, თუ რა მიიჩნევა თავდასხმად. სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში განმარტებულია, რომ თავდასხმა არის აგრესიული აქტი, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა ძალადობრივი ქმედება ან ძალადობრივი ქმედებების მუქარა.⁹⁴ შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს, ადგილი ჰქონდა თუ არა თავდასხმას და უშუალოდ რა ქმედებები შეიძლება შეფასდეს თავდასხმად. ამასთან ერთად, სსკ-ის 353 პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დადგენისთვის აუცილებელია, რომ განისაზღვროს პირის ქმედების მოტივი, კერძოდ, აუცილებელია, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებზე თავდასხმა დაკავშირებული იყოს მის სამსახურებრივ საქმიანობასთან და თავდასხმის მოტივს და მიზანს წარმოადგენდეს თავდასხმა თუ პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარად უკანონო ქმედებისთვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რა შემთხვევაშიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით.

საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით, თავდასხმად უმეტესად მიიჩნევა მკვეთრად აგრესიული ძალადობრივი ქმედებები,

⁹⁴ კოლექტივი.

რომლებიც არის ინტენსიური და თავისი ხასიათის გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს თავდასხმად. მაგალითისთვის, შეგვიძლია მოვიხმოთ მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი,⁹⁵ რომლითაც ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 353 პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის შემდგომ ხელბორკილების მოხსნისთანავე ბრალდებული გახდა აგრესიული, ადგილზე მყოფ პოლიციის თანამშრომლებს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, აიღო სკამი და შეეცადა ესროლა პოლიციის თანამშრომლის მიმართულებით, რისი საშუალებაც ადგილზე მყოფებმა არ მისცეს და მოულოდნელად ერთ-ერთ პატრულ-ინსპექტორს ძლიერად ამოარტყა ფეხი საზარდულში, რის გამოც პატრულ-ინსპექტორი გახდა ცუდად. ამის საპირისპიროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, პოლიციელზე თავდასხმად არ იქნა მიჩნეული ბრალდებულის მიერ დაზარალებულის სხეულზე განხორციელებული ერთჯერადი დარტყმა. სასამართლოს შეფასებით, ეს ქმედება არც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით გათვალისწინებული ცემის შემადგენლობას იძლეოდა და იგი იყო მხოლოდ და მხოლოდ სხვაგვარი ძალადობა, რომლის დასჯადობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „*საქართველოს სსკ-ის 3531-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე, ანდა მის სამსახურებრივ ან საცხოვრებელ შენობაზე, ან მის სატრანსპორტო საშუალებაზე, ანდა მისი ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიციელის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში, თავდასხმაში, რაც გულისხმობს აგრესიულ აქტს, რასაც თან ახლავს ძალადობა ან ძალადობის მუქარა*“.⁹⁶ ხოლო „*საქართველოს სსკ-ის 126-ე მუხლით კრიმინალიზებულია სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. სწორედ დარტყმების რაოდენობა/ინტენსივობა განასხვავებს ცემას სხვაგვარი ძალადობისგან, რომელიც გამოიხატება ერთჯერად ძალადობრივ ქმედებაში (მაგ., ხელის გარტყმა და სხვ.). ქმედების ცემად ან სხვაგვარ ძალადობად დაკვალიფიცირებისათვის განმსაზღვრელია, რომ სუბიექტის ქმედებას - ერთჯერად ან არაერთჯერად ძალადობრივ ქმედებას მოჰყვეს მსხვერპლისათვის ფიზიკური ტკივილი, ამასთანავე, ზემოაღნიშნულმა ქმედებამ არ უნდა გამოიწვიოს ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მისი ხანმოკლე მოშლით ან საერთო შრომისუნარიანობის თუნდაც უმნიშვნელო ან არამყარ დაკარგვით, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქმედება დაკვალიფიცირდება უფრო მძიმე სსკ-ის 120-ე მუხლით*“.⁹⁷

მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიღმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიღებული აქვს არაერთი გადაწყვეტილება, რომელიც სწორედ საქართველოს სისხლის

⁹⁵ მცხეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი, ხელმისაწვდომია info.court.ge.

⁹⁶ იქვე.

⁹⁷ საქმე №474აპ-24, თბილისი, გ-ი ბ. 474აპ-24 10 სექტემბერი, 2024 წელი.

სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული და სსკ-ის 126-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის გამიჯვნის კრიტერიუმებს ეხება.

კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ, არა პოლიციელზე თავდასხმად, არამედ ძალადობად (სსკ-ის 126-ე მუხლი) მიიჩნია შემდეგი ქმედებები:

- პოლიციელების ჯგუფურად ცემა, მათ შორის, ქალი⁹⁸ პოლიციელის ცემა, რაც გამოიხატა ხელის სახეში გარტყმასა და ფეხის ბარძაყში ჩარტყმაში, ასევე – დაზიანებების მიყენებაში მარჯვენა მუხლის არესა და მარცხენა ხელზე, რომლის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი და გამოიწვია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება.⁹⁹
- მუშტის ძლიერი დარტყმა თვალის არეში, გინებასთან ერთად, რის შედეგადაც დაზარალებულმა თავი ვერ შეიკავა, სახე დაარტყა ღობეს და განიცადა ფიზიკური ტკივილი.¹⁰⁰
- თავის ჩარტყმა თავის არეში, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი.¹⁰¹
- აგრესიული ქცევა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხელის ცხვირში ძლიერად დარტყმა, ასევე, მიმალვის მცდელობისას ადევნებული დაზარალებული პოლიციელისთვის ხელკეტების არაერთჯერადი დარტყმა თავისა და ტანის არეში, სამსახურებრივი საშტატო იარაღის წართმევის მცდელობა, რასაც მოჰყვა იარაღიდან შემთხვევითი გასროლა.¹⁰²
- ხელებისა და ფეხების სხეულისა და სახის არეში დარტყმა, სიტყვიერ შეურაცხყოფასა და სხვა აგრესიულ ქმედებებთან ერთად, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი.¹⁰³

⁹⁸ უზენაესი სასამართლო განჩინებებს საქმეში მონაწილე პირების იდენტიფიცირების გარეშე, ინიციალებით აქვეყნებს, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ 2023 წელს მიღებულ ამ განჩინების ერთ მონაკვეთში ჩანს, რომ დაზარალებულად მიჩნეული ერთ-ერთი პოლიციელი ქალია.

⁹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №330100119003106908 (№1045აპ-22) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, თბილისი, 11 იანვარი, 2023 წელი.

¹⁰⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №160100123007507352 (№474აპ-24) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, თბილისი, 10 სექტემბერი, 2024 წელი.

¹⁰¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №010100122006548824 (№253აპ-24) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, თბილისი, 24 ივნისი, 2024 წელი.

¹⁰² საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №330100122005542913 (№519აპ-23) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, თბილისი, 11 სექტემბერი, 2023 წელი.

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №330100119003106908 (1045აპ-22) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, თბილისი, 11 იანვარი, 2023 წელი,

- გინება და მუშტის დარტყმა სახისა და თავის არეში, რის გამოც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი.¹⁰⁴

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის მიღმა საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკით აგრეთვე ფასდება დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა, კერძოდ, განზრახვა, მოტივი და მიზანი. საერთო სასამართლოების შეფასებით, თავდასხმის დამაფუძნებელი ნიშნების არსებობასთან ერთად, დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ბრალდებულის განზრახი ქმედება განპირობებული იყოს დაზარალებულის სამსახურებრივი საქმიანობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, სსკ-ის 353 პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაული არ იარსებებს. ბრალდებულის ქმედების მიზნის დასადგენად კი, საერთო სასამართლოები ყურადღებას ამახვილებენ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის წარმოშობის დროსა და გარემოებებზე და მიიჩნევენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელს კონფლიქტის მომენტში შესაძლოა ეცვას, მაგალითად, პოლიციის ფორმა და ბრალდებულისთვის ცნობილი იყოს მისი სამუშაო ადგილი, თუ კონფლიქტი წარმოშობილია ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებით ნიადაგზე, ადგილი ვერ ექნება სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. უზენაესი სასამართლოს შეფასებით, „ქმედების პოლიციელზე თავდასხმად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, დადგინდეს სუბიექტის განზრახვა და მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლის გარეშეც ქმედების პოლიციელზე თავდასხმად დაკვალიფიცირება სამართლებრივ საფუძველს იქნება მოკლებული. დანაშაულებრივი ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, ასევე ის გარემოება, როგორ ვითარებაში იქნა აღნიშნული მიყენებული, რა უძღოდა წინ და შემდგომ, ადგილი ხომ არ ჰქონდა შეურაცხყოფელ შემახილებს მსხვერპლის საქმიანობასთან დაკავშირებით და სხვ.“¹⁰⁵ შესაბამისად, ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტით დგინდებოდეს და ფასდებოდეს, ბრალდებულის კონკრეტული ქმედება, მისი სიმძიმე და ბრალდებულის ქმედების სუბიექტური მხარე, აგრეთვე გარემოებები, რომელშიც დანაშაული იქნა ჩადენილი. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ და მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირმა პოლიციის თანამშრომელს სხეულზე დააარტყა, ავტომატურად არ იწვევს მის ბრალდებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში.

¹⁰⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე №0160100119002935126 (№365აპ-20) საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შესახებ, თბილისი, 16 სექტემბერი, 2020 წელი.

¹⁰⁵ იქვე.

3.2. პოლიციელზე თავდასხმის (Assault) საკითხის თეორეტიზებისთვის

პოლიციელზე თავდასხმის (Assault) საკითხზე მსჯელობისას მიუთითებენ, რომ ამგვარი მოვლენის ინსტიტუციური და საზოგადოებრივი სპეციფიკა თავისთავად აწარმოებს ტერმინის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. თუკი, ერთი მხრივ, არსებობს სამართლებრივი განმარტებები, რომლებიც უშუალოდ ნორმატიულ ფორმულირებებს ეფუძნება, მეორე მხრივ, ჩნდება ორგანიზაციული (სამართალდამცავი ორგანოების) და საზოგადოებრივი/აკადემიური პერსპექტივები.

როცა ვსაუბრობთ სამართალდამცავებზე თავდასხმის ორგანიზაციულ განმარტებებზე, მნიშვნელოვანია იმის ახსნა, თუ როგორ აღიქმება პოლიციის როლი თავად ინსტიტუციის ირგვლივ, როგორ აწარმოებს ის წესრიგის დამცველის სახე-ხატს, და რა ტიპის სიტუაციებში ხდება 'თავდასხმის' ფენომენი რელევანტური. ეს მნიშვნელოვანია არა მოქალაქეებსა და პოლიციას შორის არსებული კონფლიქტების რომანტიზების, არამედ მისი გონივრული და სამართლიანი ახსნისთვის.

ერთმანეთისგან განარჩევენ წინასწარ განზრახულ და სპონტანურ თავდასხმებს. ეს უკანასკნელი განიხილება ემოციურ რეაქციად, რომლის ახსნაც მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევასთან მიმართებით არის შესაძლებელი.¹⁰⁶ საპირისპიროდ, წინასწარ განზრახული თავდასხმა დაგეგმილი მოვლენაა და აგრესიულ ძალადობად აღიქმება.¹⁰⁷ სპონტანური თავდასხმები იმპულსური ქცევებია, რომლებიც პოლიციის ოფიცერსა და თავდამსხმელს შორის კონფრონტაციის, ან ცხარე ემოციური დამაბულობის პირობებში წარმოიშობება.¹⁰⁸ ბრალის განსაზღვრისთვის ასევე გავრცელებული მოვლენაა თავდასხმების კლასიფიცირება ფიზიკური დაზიანების ხარისხების მიხედვით.¹⁰⁹

სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის დაპირისპირება არასასურველი, თუმცა, ზოგჯერ, შეიძლება ითქვას, ბუნებრივად განპირობებული მოვლენაა, რის გამოც კონფლიქტური ინციდენტები ხშირად საერთოდ არ ხდება გამოძიების საგანი.¹¹⁰ ეს განსაკუთრებით ეხება დაბალი ინტენსივობისა და არადამაზიანებელ 'თავდასხმებს', ან ისეთ შემთხვევებს, როცა პოლიციელთან წინააღმდეგობა ბუნებრივ რეაქციად განიხილება (მაგალითად, მოქალაქის დაკავების დროს გარკვეულ გარემოებებში).¹¹¹ პოლიციის, როგორც წესრიგის დამცველის როლი, თავის თავშივე მოიცავს ვარაუდს, რომ სპეციფიკურ სიტუაციებში მათ უწევთ არასასურველ წინააღმდეგობებთან გამკლავება - პოლიტიკური პროტესტები, სამოქალაქო 'რეივები', ან საფეხბურთო მატჩები.¹¹² საზოგადოებრივი ქცევა, რომელიც ბუნებრივად აწარმოებს არაკონფორმულ ემოციებს, ასევე მოიცავს პოლიციასთან

¹⁰⁶ Virginia Paulette Redman, Macro-level predictors of assaults against police in Kentucky, 2018, p. 11.

¹⁰⁷ Ibid.

¹⁰⁸ Ibid.

¹⁰⁹ Ibid.

¹¹⁰ Lee Antony Johnson, Understanding Assaults against Police Officers: A study of conflict escalation in police encounters with the public, 2019, p. 37.

¹¹¹ Ibid. Virginia Paulette Redman, დასახელებული ნაშრომი, p. 11.

¹¹² Lee Antony Johnson, დასახელებული ნაშრომი, p. 40.

დაპირისპირების მაღალ რისკებს, და ამ დროს, სამართალდამცავები მოელიან კიდევ, რომ ისინი თავდასხმის ობიექტებად შეიძლება დაინახებოდნენ.¹¹³

სამართალდამცავები მოქმედებენ ერთგვარი მისიით, სადაც ეფექტიანი მუშაობა უბრალოდ არასასურველი ქცევის ჩახშობასთანაა გათანაბრებული. შესაბამისად, დამაბულობა თან სდევს პოლიციისა და მოქალაქეების კონკრეტული ჯგუფების გადაკვეთას. ეს ამლიერებს 'ჩვენ' და 'ისინი' დაყოფას, ქმნის ინტერნალიზებულ ძალაუფლებრივ დინამიკასა და წარმოდგენებს, და აყალიბებს ერთგვარ ფარს სამართალდამცავების ყოველგვარი გარე კრიტიკისაგან დასაცავად.¹¹⁴ ასეთ დროს, პოლიცია მუდმივად მტრულ დამოკიდებულებას ავლენს მათ მიმართ, ვინც არაკონვენციურ ქცევას და ავტორიტეტისადმი დაუმორჩილებლობას ავლენს და რიგ სიტუაციებში შერჩევით სამართალს აწარმოებს.¹¹⁵ ისეთ საზოგადოებებში კი, სადაც პოლიცია პოლიტიკური მმართველობის დასაყრდენი და განსხვავებული აზრის დევნის იარაღია, ამგვარი ინსტიტუციური კულტურა ავტორიტარული მართვის იარაღი ხდება.

ამგვარი მოვლენების ახსნას ცდილობს სოციალური იდენტობის თეორია და ვარაუდობს, რომ ჯგუფის წევრები იძენენ და მოქმედებენ სოციალური იდენტობის შესაბამისად, რომელიც ჩაშენებულია დროით და ლოკალურ კონტექსტებში. ამ მოდელის მიხედვით, სახალხო შეკრებები ჯგუფთაშორისი გადაკვეთის წერტილებია.¹¹⁶ ასეთ დროს პოლიცია ერთგვარად აფუძნებს გარე ჯგუფს, რომელიც შეკრების მონაწილეების სოციალურ იდენტობასა და ქმედებებს თავად ამ მონაწილეებისგან რადიკალურად განსხვავებულად ხედავს.¹¹⁷ მაგალითად, თუკი მანიფესტაციის მონაწილეებს მჯდომარე აქცია პროტესტის გამოხატვის ლეგიტიმურ და უწყინარ ფორმად მიაჩნიათ, პოლიციამ ის შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის მქონედ განიხილოს.¹¹⁸ სოციალური იდენტობის მოდელის თანახმად, კონფლიქტური სიტუაციები წარმოიშობა ორი კუმულატიური პირობის არსებობისას: როცა არსებობს ასიმეტრია ჯგუფის სოციალური იდენტობის აღქმაში მის წევრებსა და გარე ჯგუფის (ამ შემთხვევაში - პოლიციის) წარმომადგენლებს შორის; და როცა გარე ჯგუფს აქვს ძალაუფლება, რომ თავისი პოზიცია ადასტულოს ჯგუფის წევრებზე და მათ წინააღმდეგ.¹¹⁹ ასეთ დროს ჩნდება ჯგუფის რეპრესირების რისკები, რაც, თავის მხრივ, განიმარტება, როგორც „ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მიღებული ნებისმიერი ზომა მობილიზაციისთვის ხელის შეშლის, აქტივისტების დაშინებისა და შევიწროების, მოძრაობის დანაწევრების, მოძრაობის წევრებზე თავდასხმის, დაპატიმრების ან მათი ფიზიკური განადგურების მიზნით“.¹²⁰ კიდევ უფრო ფართო განმარტებით, რეპრესია გარე

¹¹³ Ibid.

¹¹⁴ Ibid, p. 66.

¹¹⁵ Ibid, p. 67.

¹¹⁶ Drury, John, Clifford Stott, and Tom Farsides. 2003. "The Role of Police Perceptions and Practices in the Development of "Public Disorder"". *Journal of Applied Social Psychology* 33(7): 1480-1500. p. 1481.

¹¹⁷ Ibid.

¹¹⁸ Ibid.

¹¹⁹ Ibid.

¹²⁰ Earl, Jennifer. 2003. "Tanks, Tear Gas, and Taxes: Toward a Theory of Movement Repression." *Sociological Theory* 21(1): 44-68. p. 45.

ჯგუფის მიერ განხორციელებული ყველა მოქმედებაა, რომელიც აზარალებს მანიფესტანტთა კოლექტიური მოქმედების უნარს.¹²¹

სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ ამგვარი კონტექსტებითა და დათქმებით განიხილავენ სამართალდამცავზე თავდასხმის ფენომენს. 'თავდასხმის' დეფინიცია იურისდიქციების მიხედვით განსხვავებულია და, შესაბამისად, ნორმის სამართლებრივი განმარტებები ერთგვაროვანი ვერ იქნება. თუმცა, როცა საკითხი ეხება ორგანიზაციულ განმარტებებსა და პრაქტიკას, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ის მარტივად ხდება მანიპულაციის მექანიზმი. იმისთვის, რათა ნორმა არ გახდეს განსხვავებული აზრის დევნისა და ჩაგვრის ინსტრუმენტი, ის აუცილებელია განიხილებოდეს შესაბამის კონტექსტში და მხედველობაში მიიღებოდეს ზემოთ აღწერილი ე.წ. 'სიტუაციური გადაკვეთები' (situational encounters).¹²²

საერთაშორისო სტანდარტები უშუალოდ პოლიციელზე თავდასხმის ნორმატიული რეგულირების ფარგლებს თუ სისხლისსამართლებრივი ზომების გამოყენების მასშტაბს პირდაპირ არ ადგენს. ეს სწორედ იმით აიხსნება, რომ ასეთი შემთხვევები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში მხოლოდ სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით შეიძლება შეფასდეს. იმის გამო, რომ პოლიციასთან ფიზიკური კონფრონტაცია ხშირად არის დემონსტრაციების თანმდევი ბუნებრივი მოვლენა, სახელმწიფოებს პირველ რიგში ევალებათ სამი პრინციპის მიხედვით მოქმედება: დემონსტრანტების წინააღმდეგ დაწესებული შეზღუდვები, სანქციები თუ მათი აღსრულების გზები უნდა იყოს პროპორციული, ემყარებოდეს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, და დემონსტრაციის ბუნების გათვალისწინებით ახდენდეს კონფრონტაციული გადაკვეთების ტოლერირებას. ეს პრინციპები ზოგადად გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან, რამდენადაც ის ცდილობს მოძებნოს ბალანსი საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებას შორის. ეს უკანასკნელი სარგებლობს უპირატესი დაცვის პრიმატით, თუნდაც შეკრება არაავტორიზებული, არეულობისა და კონფრონტაციის გამომწვევი იყოს, თუ ის არ მიაღწევს ძალადობის გადამეტებულ ხარისხს.¹²³

პიროვნება, თუნდაც მონაწილეობდეს ერთეულ ძალადობრივ აქტებში ('sporadic acts of violence'), მაინც შეიძლება სარგებლობდეს კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დაცვით.¹²⁴ ეს ნიშნავს, რომ:

- ❖ მის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს პროპორციული;
- ❖ მხედველობაში მიიღებოდეს შეკრებაში მისი ჩართვის იმწუთიერი მოტივაციები;
- ❖ ქმედების ბუნება;

¹²¹ *Ibid*, p. 46.

¹²² Lee Antony Johnson, დასახელებული ნაშრომი, p. 39.

¹²³ Ronan Ó Fathaigh. 2015. "Protestor's arrest and conviction for disobeying a police order violated Article 11." *Strasbourg Observers*. ხელმისაწვდომია: https://strasbourgobservers.com/2015/10/22/protestors-arrest-and-conviction-for-disobeying-a-police-order-violated-article-11/?utm_source=chatgpt.com, წვდომის თარიღი: 27.03.2025.

¹²⁴ Council of Europe/European Court of Human Rights. 2024. Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights: Freedom of assembly and association, para. 112.

- ❖ შედეგების სიმძიმე (რამდენად (და თუ კი - რა სახის) დაზიანება გამოიწვია სხვების მიმართ);
- ❖ და რა გავლენა ჰქონდა მის ქცევას შეკრების მშვიდობიანი ფორმის ცვლილებაზე.¹²⁵

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში მიუთითა, რომ ხანგრძლივი საპატიმრო სასჯელების გამოყენება შეტაკების მომენტში პოლიციისთვის ქვის ან მცირე ზომის საგნების სროლის გამო არაპროპორციულია და არღვევს კონვენციის მე-11 მუხლს.¹²⁶

ამდენად, პოლიციელზე თავდასხმა იზოლირებულად, შეკრებისა და გამოხატვის უფლების კომპონენტისგან სრულად დაცლით არ შეიძლება განიხილებოდეს. ეს განსაკუთრებით ეხება იმგვარ შემთხვევებს, როცა სამართალდამცავებთან კონფრონტაცია და შეხლა-შემოხლა პოლიციელების მხრიდან ძალის გადამეტებაზე ან თვითნებურ დაკავებებზე რეაქციაა. გარდა ამისა, 'თავდასხმის' დეფინიციის ქვეშ ვერ მოთავსდება თავისთავად სიმბოლური მნიშვნელობის, ფიზიკური და მენტალური მდგრადობისთვის უმნიშვნელო, და ტკივილის არგამომწვევი აქტები, ჩადენილი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში პოლიციასთან სიტუაციური გადაკვეთისას (როგორიცაა მზია ამაღლობელის შემთხვევა). საქართველოსგან განსხვავებით, ამ პრინციპების არეკვლას ახერხებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლის ნორმატიული მოწესრიგება.

3.3. კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია

353¹-ე მუხლის კონტექსტში რელევანტურია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 113-ე და 114-ე მუხლების განხილვა. პირველი აწესრიგებს სამართალდამცავებისადმი წინააღმდეგობას (*Resistance*), ხოლო მეორე - მათზე თავდასხმას (*Assault*).

113-ე მუხლის მიხედვით, წინააღმდეგობა გამოხატული უნდა იყოს ძალადობაში (*Force*) ან ძალადობის მუქარაში. ტერმინი 'ძალადობა' მიემართება ფიზიკური ძალის გამოყენებას, რომელიც მიზნად ისახავს სამართალდამცავის საქმიანობის ხელშეშლას.¹²⁷ ფიზიკური ძალის მასშტაბის შესახებ ნორმატიულ განმარტებას კოდექსი არ ადგენს, თუმცა, მაგალითად, პასიური რეზისტენციის ფორმები, როგორიცაა მჯდომარე წინააღმდეგობა, ასეთად არ მიიჩნევა.¹²⁸ ნორმაში 'ძალადობის მუქარაზე' მითითებაც იმის მანიშნებელია, რომ სამართალდამცავი ფიზიკური დაზიანების საფრთხის ქვეშ უნდა ექცეოდეს.¹²⁹

114-ე მუხლი დასჯადად აცხადებს სამართალდამცავზე თავდასხმას. მიუხედავად იმისა, რომ ნორმის მიზნებისთვის აუცილებელი არ არის თავდასხმის შედეგად ფიზიკური დაზიანების ფაქტი დადგეს, დასაცავი სიკვთე სამართალდამცავის სხეულებრივი უსაფრთხოებაა.¹³⁰ ამ გაგებით, მიზანშეწონილი არ იქნება 'თავდასხმის' დეფინიციის ქვეშ მოთავსდეს სიმბოლური

¹²⁵ Ibid.

¹²⁶ Ibid.

¹²⁷ Resisting Police and other Law Enforcement Officers in Germany, ხელმისაწვდომია: <https://se-legal.de/criminal-defense-lawyer/resistance-to-police-and-other-law-enforcement-officers-in-germany/?lang=en>, წვდომის თარიღი: 14.03.2025.

¹²⁸ Ibid.

¹²⁹ Ibid.

¹³⁰ Ibid.

აქტები, რომლებიც მიზნად პროტესტის გამოხატვას, ან თუნდაც რეპუტაციული ზიანის მიყენებას ისახავს.

ზემოაღნიშნული ნორმების არსის სრულად გაგება შეუძლებელია იმ დათქმის განუხილველად, რომელზეც 113-ე მუხლი მიუთითებს (ის ასევე ვრცელდება 114-ე მუხლზეც, შესაბამის გარემოებებში): „ქმედება არ არის დასჯადი, თუ სამართალდამცავის მოქმედება უკანონოა. ეს ასევე ეხება შემთხვევებს, როცა 'სამართალდამრღვევი' შეცდომით მიიჩნევა, რომ სამართალდამცავის ოფიციალური მოქმედება უკანონოა“.¹³¹ ამ უკანასკნელ შემთხვევებში კოდექსი დამატებით აწესრიგებს, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როცა შეცდომის თავიდან აცილება გონივრულად შესაძლებელი/შეუძლებელი იყო, ანდა ჩადენილი ქმედება უმნიშვნელოა. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, კანონმდებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს სასჯელზე უარის თქმას ან მისი მსუბუქი ფორმით გამოყენებას.¹³²

გერმანიის ერთ-ერთი უმაღლესი რეგიონული სასამართლოს (*Oberlandesgericht Celle*) თანახმად, პოლიციელის ოფიციალური მოქმედება არაკანონიერად უნდა ჩაითვალოს, თუ ის ეჭვმიტანილს არ განუმარტავს უშუალოდ რა დარღვევაში ედება ბრალი. არაკანონიერად მიიჩნევა ქმედება მაშინაც, თუ პოლიციის ოფიცრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია მცდარია, თუნდაც ეჭვი სამართალდარღვევის შესახებ გამართლებული იყოს.¹³³ ასეთ დროს დამატებითი გარანტიებით სარგებლობენ დემონსტრაციების მონაწილეები, ძირითადი კანონის მე-8 მუხლიდან („შეკრების თავისუფლება“) გამომდინარე. ეს ეხება, მაგალითად, შეკრების მონაწილეების დაკავებისა და ტრანსპორტირების შემთხვევებს, როცა ისინი წინასწარ არ იყვნენ გამორიცხულნი დემონსტრაციაში მონაწილეობისგან ან თავად ეს დემონსტრაცია ოფიციალურად დაშლილი არ ყოფილა.¹³⁴

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ქართული საერთო სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, 353-ე პრიმა მუხლის დაფუძნებისთვის აუცილებელია აგრესიული და ინტენსიური თავდასხმითი აქტის განხორციელება შესაბამისი კონტექსტისა და გარემოებების არსებობისას. ამასთანავე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოტივს. კერძოდ, უნდა დგინდებოდეს პოლიციელზე (ან სხვა შესაბამის თანამდებობის პირზე) თავდასხმის თავისთავადი მიზანი, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის სამსახურებრივი მოვალეობის ხელშეშლას უნდა ემსახურებოდეს. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული, პოლიციელზე თავდასხმის შეფასებისას გასათვალისწინებელია რიგი გარემოებები, კერძოდ: თავდასხმა დაგეგმილი იყო თუ სპონტანური; ქმედების დაბალი ინტენსივობა და არადამაზიანებელი ბუნება; სიტუაცია, რომელშიც ქმედება მოხდა (მაგალითად, თუ დაპირისპირება და წინააღმდეგობა მოქალაქის ბუნებრივი რეაქციაა, აქციის დაშლისა თუ დაკავების მომენტში).

¹³¹ German Criminal Code, Section 113 (3). ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html#p0096, წვდომის თარიღი: 14.03.2025.

¹³² German Criminal Code, Section 113 (4).

¹³³ Resisting Police and other Law Enforcement Officers in Germany, ხელმისაწვდომია: <https://se-legal.de/criminal-defense-lawyer/resistance-to-police-and-other-law-enforcement-officers-in-germany/?lang=en>, წვდომის თარიღი: 14.03.2025.

¹³⁴ Ibid.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პოლიციელებსა და მოქალაქეებს შორის კონფრონტაციული გადაკვეთებისას სახელმწიფოს ტოლერირების მაღალი ვალდებულება გააჩნია. როცა ამგვარი აქტები შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში ხდება, ეს უკანასკნელი დაცვის უპირატესი უფლებით სარგებლობს მანამ, სანამ კონფრონტაციული მოქმედება ძალადობის გადამეტებულ ხარისხს არ მიაღწევს. თავისთავად სიმბოლური მნიშვნელობისა და უკიდურესად არაინტენსიური აქტები თავდასხმის ნორმატიულ შინაარსს ვერ დააფუძნებს. შესაბამისად, ამ ნორმის საფუძველზე „ქართული ოცნების“ მიერ მზია ამაღლობელის სისხლისსამართლებრივი ბრალდება ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სამართლისა და სასჯელის მიზნებს, არ არის ჩადენილი ქმედების პროპორციული და არსებითად პოლიტიკური დევნის მაგალითს წარმოადგენს.

4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი

4.1. ქმედების ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით დასჯადია სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. შესაბამისად, დანაშაულის ობიექტური მხარის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ დაზიანდეს ან განადგურდეს სხვისი ქონება, რასაც შედეგად მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი. ნივთის დაზიანებაში იგულისხმება ნივთის მდგომარეობის არსებითი გაუარესება, აგრეთვე, თუ ნივთი მიზნობრივი გამოყენებისთვის ნაწილობრივ ან მთლიანად გამოუსადეგარი ხდება, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია.¹³⁵ ნივთის განადგურებაში იგულისხმება მისი არსებობის შეწყვეტა ან იმგვარი დაზიანება, რომ აღდგენა შეუძლებელია.¹³⁶

მნიშვნელოვანი ზიანის ცნება განსაზღვრულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნაში, რომლის თანახმადაც, კოდექსის 25-ე თავში გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში მნიშვნელოვან ზიანად მიიჩნევა იმგვარი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რომლის ღირებულება აჭარბებს 150 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებული ან განადგურებული ნივთის ღირებულება 150 ლარს ქვემოთაა, ქმედება არ მიიჩნევა სისხლისსამართლებრივად რელევანტურად და ზიანის მიმყენებელს შესაძლოა დაეკისროს მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მნიშვნელოვან ზიანად 150 ლარს ზემოთ ღირებულების განსაზღვრა საკმაოდ პრობლემატურია, ვინაიდან უმნიშვნელო შემთხვევების დროსაც კი (როდესაც სრულიად არარელევანტურია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენება), თუ ნივთის ღირებულება, მაგალითად, 151 ლარია, პირს, შესაძლოა, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სასჯელის სახით განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1-დან 5 წლამდე ვადით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში იქნება ჩადენილი - 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

¹³⁵ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, გვ. 546.

¹³⁶ იქვე.

ობიექტური შემადგენლობის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ მუხლს აქვს დამამძიმებელი გარემოებებიც. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ნივთი დააზიანა ან გაანადგურა ორმა ან მეტმა პირმა, დანაშაული ჯგუფურად ჩაითვლება და მათ ჩვეულებრივზე უფრო მკაცრი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ემუქრებათ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ განზრახი დანაშაულის ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ სხვისი ნივთი დაზიანებულია ან განადგურებულია გაუფრთხილებლად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 188-ე მუხლით.

4.2. ქონებრივი დანაშაული პროტესტის დროს

პროტესტის გამოხატვის კონტექსტში ნივთის დაზიანება თავისთავად დაკავშირებულია უკვე განხილულ „ძალადობის“ და „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ საკითხებთან. როგორც ითქვა, გაეროს გენერალური კომენტარის თანახმად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისას საკუთრების უფლების შელახვა ძალადობად რომ დაკვალიფიცირდეს, ის „საკუთრების სერიოზულ დაზიანებაში“ უნდა გამოიხატოს. მსგავსად, Amnesty International აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოებმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების არგუმენტით შეზღუდვები შეიძლება დააწესონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრების მონაწილეები ქმნიან ადამიანთა უსაფრთხოებისა და სიცოცხლის, ან საკუთრების სერიოზული დაზიანების, რეალურ და მნიშვნელოვან რისკს“.¹³⁷ სხვა შემთხვევებში, პროტესტის დროს ნივთის დაზიანება, თუნდაც ეს კანონის დარღვევა იყოს, „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის“ ფარგლებშია განსახილველი, რაც, თავის მხრივ, მის დასჯადობას გამოიწვევს (Amnesty International მცირე მნიშვნელობის ზიანის მაგალითად ასახელებს ინდივიდუალური პროტესტანტების მიერ სატრანსპორტო ნიშნების დაზიანებას).¹³⁸

როცა საკითხი საკუთრებაზე თავდასხმას ეხება, საყოველთად აღიარებულია, რომ „არსებობს ფუნდამენტური მორალური სხვაობა ნივთებსა და ადამიანებზე ძალადობას შორის“.¹³⁹ საკუთრების შელახვა, რიც შემთხვევებში, თავისთავად ცხადია, რომ შეიძლება ემსახუროდეს კომუნიკაციური ქმედების მიზნებს (მაგ., გრაფიტი). ამაზე მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში, *Genov and Sarbinska v. Bulgaria* (2021).¹⁴⁰

ამ საქმეში სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევად მიიჩნია ხულიგნობისთვის ორი პირის მსჯავრდება და ჯარიმა საბჭოთა მონუმენტზე გრაფიტის გაკეთებისთვის. ეროვნული სასამართლოების არგუმენტაცია ეფუძნებოდა მიდგომას, რომ ბრალდებულების მიზანი „საზოგადოებაში სკანდალის გამოწვევა და არა საჯარო მნიშვნელობის საკითხზე აზრის გამოხატვა“ იყო.¹⁴¹ საპირისპიროდ, სტრასბურგის სასამართლოს თქმით, არ არსებობდა მტკიცებულებები, რომ მონუმენტს გამოუსწორებელი ზიანი მიაღება, ან რომ გრაფიტის

¹³⁷ Amnesty International. 2024. “GUIDELINES ON THE RIGHT TO FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY”. p. 23.

¹³⁸ *Ibid*, p. 55.

¹³⁹ Marcou, Andreas. 2021. “Violence, communication, and civil disobedience.” *Jurisprudence* 12(4): 491-511. p. 505.

¹⁴⁰ Flores, Ona. 2023. “Case law on peaceful protests.” *Global Freedom of Expression: Columbia University*. p. 28.

¹⁴¹ Flores, Ona. 2023. “Case law on peaceful protests.” *Global Freedom of Expression: Columbia University*. p. 28.

მოშორება დიდ ძალისხმევასთან იყო დაკავშირებული. ამ პირობებში ხულიგნობისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა და თანმდევი ჯარიმა „არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.¹⁴²

საპირისპიროდ, თავშესაფრის ან ადამიანის ფსიქოემოციურ მდგომარეობასთან მჭიდროდ გადაჯაჭვული ობიექტის განადგურება ამგვარ აქტს არა უბრალოდ საკუთრებაზე, არამედ პიროვნებაზე თავდასხმის ეფექტს სძენს.¹⁴³ ამგვარად, ნივთის დაზიანება სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფარგლებში შეიძლება მოექცეს ორი კუმულატიური პირობის არსებობისას: 1) როცა საკუთრებაზე თავდასხმა საფრთხეს არ უქმნის ადამიანთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მთლიანობას და მიზნად არ ისახავს პიროვნებისთვის ტრავმის მიყენებას; 2) ჩაშენებულია პოლიტიკური კომუნიკაციის იდეაში.¹⁴⁴

4.3. კომპარატივისტული მაგალითი: გერმანია

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მსგავსად, გერმანული კანონმდებლობაც ითვალისწინებს ნივთის დაზიანებისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა პოტენციური სასჯელის მასშტაბები გაცილებით მცირეა. კერძოდ, გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის 303-ე მუხლის თანახმად, „ნებისმიერი, ვინც არაკანონიერად დააზიანებს ან გაანადგურებს სხვის ნივთს, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით არაუმეტეს ორი წლის ვადით“.¹⁴⁵ ნორმა დამატებით არ ითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებებს, რაც ნიშნავს, რომ სპეციფიკური შემთხვევები (მაგალითად, ჯგუფურობა), ბრალის გათვალისწინებით, არსებული სასჯელის ფარგლებში უნდა გადაწყდეს.

საპირისპიროდ, საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლი სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურებისთვის, არადამამძიმებელ გარემოებებში, ყველაზე მკაცრ სასჯელად ერთიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. იმის გათვალისწინებით, რომ ნორმაში დასახელებული „მნიშვნელოვანი ზიანის“ კომპონენტი გულისხმობს ნივთის ღირებულებას 150 ლარის ზემოთ,¹⁴⁶ ის ვრცელდება რეალურად უმნიშვნელო შემთხვევებზეც. იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად აბსურდულად შეიძლება გამკაცრდეს სასჯელი ქართულ რეალობაში, შეიძლება ამგვარი მაგალითის მოყვანა: თუ ორი ადამიანი დააზიანებს ღობეს, რომლის ღირებულებაც 200 ლარია, ისინი შეიძლება დაისაჯონ 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას სამიდან ექვს წლამდე ვადით. ეს მაგალითი არ არის მხოლოდ ჰიპოთეტური: ამგვარი შემთხვევებისთვის ბრალი წარედგინათ ბოლო თვეებში საპროტესტო აქციებში მონაწილეებს.

¹⁴² Ibid.

¹⁴³ Marcou, Andreas. 2021. დასახელებული ნაშრომი. pp. 504-506.

¹⁴⁴ Ibid, p. 506.

¹⁴⁵ German Criminal Code, Section 303 (1).

¹⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

გერმანიაში 'მნიშვნელოვანი ზიანი' სასამართლომ უნდა შეაფასოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხისტი ნორმატიული ოდენობა კი არ არსებობს. 2018 წელს, გერმანიის ერთ-ერთმა რეგიონულმა სასამართლომ (*Landgericht Nürnberg-Fürth*), საავტომობილო ინციდენტის შეფასებისას ეჭვქვეშ დააყენა 2100 ევროს მნიშვნელოვან ზიანად მიჩნევის საკითხი და მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სოციოეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით, ადრე დადგენილი 1800 ევროს პრეცედენტი ცვლილებას საჭიროებდა.¹⁴⁷ სასამართლომ ახალ ზღვრად 2500 ევრო განსაზღვრა.¹⁴⁸

დასკვნა

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავდა სისხლის სამართლის კოდექსის იმ ნორმების კრიტიკულ ანალიზს, რომლებიც პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება საპროტესტო მოქმედებებში ჩართული მოქალაქეების წინააღმდეგ. ანალიზის საფუძველზე, შევეცადეთ გამოგვევლინა ის სამართლებრივი და პრაქტიკული პრობლემები, რომლებიც ზღუდავს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას და ქმნის რეპრესიული მიდგომების სამართლებრივ წინაპირობებს.

დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნები დაფუძნებულია კონკრეტულ საქმეებზე, სასამართლო პრაქტიკასა და კანონმდებლობის ანალიზზე და მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს როგორც პრაქტიკულ იურისტებს და ადვოკატებს, ისე მოსამართლეებს, რათა მათი მუშაობა და საქმიანობა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს.

მუხლების ანალიზმა ცხადყო, რომ მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ნორმები არადამაკმაყოფილებლად ითვალისწინებს გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების სპეციფიკურ ბუნებას და იმ მნიშვნელობას, რაც ამ თავისუფლებებს გააჩნიათ დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირებისთვის. ხშირ შემთხვევაში, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები შეიცავს გადაჭარბებულად მკაცრ და არაპროპორციულ სასჯელებს, რაც წარმოშობს საშიშროებას, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა პროტესტის მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგ გამოიყენონ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმები.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ რიგი მუხლები ჩამოყალიბებულია ბუნდოვანი და არაკონკრეტული ენით, რაც იძლევა მათი ფართო და თვითნებური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ეს ბუნდოვანება არა მხოლოდ არღვევს სამართლებრივი გარკვეულობის პრინციპს, არამედ ზრდის პოლიტიკური მოტივაციით აღძრული საქმეების რისკს და ზღუდავს მოქალაქეების უფლებას მშვიდობიანად და საჯაროდ გააპროტესტონ ხელისუფლების და ძალაუფლების სხვა აქტორების გადაწყვეტილებები.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა პროტესტთან დაკავშირებულ არაერთ მნიშვნელოვან საქმეში წარადგინა „ამიკუს კური“ (მეგობრის მოსაზრება), რითაც შეეცადა სასამართლოსთვის მიეწოდებინა ადამიანის

¹⁴⁷ Unfallflucht: Entzug der Fahrerlaubnis setzt Sachschaden von mindestens 2.500 EUR netto voraus, ხელმისაწვდომია: https://www.anwalt.de/rechtstipps/unfallflucht-entzug-der-fahrerlaubnis-setzt-sachschaden-von-mindestens-2500-eur-netto-voraus_146829.html, წვდომის თარიღი: 03.02.2025.

¹⁴⁸ Ibid.

უფლებებზე დაფუძნებული ინტერპრეტაციები, კონსტიტუციური სტანდარტები და საერთაშორისო პრაქტიკა.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ მუხლების გადახედვა და ჰუმანიზაცია, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი უფლებების დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუშლის სისხლის სამართლის სისტემის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებას. ამ პროცესში გადამწყვეტია არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებები, არამედ სასამართლო პრაქტიკის ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული განვითარება და ადვოკატების მიერ არგუმენტირებული, სისტემურ პრობლემებზე დაფუძნებული სტრატეგიული დაცვის წარმოება.